

45 / 3
392

№ IV



1892

შ ი ნ ა ა რ ს ი

ქუჩნაღის «ჯეჯილი»-სა

	ბმპ.
I. ოთხი ძმა პებელა, ლექსი — შ. მღვიმელისა	3
II. ორი პატარა იმერლის მოგზაურობა, მოთხრობა თ. სუსკვიცძისა	8
III. პაპას ცოლშვილის გლოვა, ლექსი — ვაყა-ფშაველასი	17
IV. დამაცალე და ამწუთა, ფრანგულიდამ გადმოღებული კვ. მ.—სა.	19
V. მეჯლისი ლომისა, პოემა — ვაყა-ფშაველასი	30
VI. მეფე და კათალიკოსი, ხალხური ზღაპარი	45
VII. მონადირე ხალხური ლექსი	47
VIII. ბენიამინ ფრანკლინი, დასასრული ან. თ.-წ—სა.	48
IX. ვეფხის-ტყაოსანი, წამბობი მოზრდილი ყმაწვილებისათვის გ. ი.—სა	51
X. სამყარო, თავი მერვე — ერ. ბაქრაძესი	63
XI. ვისი ბრალია თუ ხარშოს გემო არ ექნება, გადმ. ფრანგ. ა. თ.-წ—სა.	71
XII. ორი მეზობელი — ან. მანისა	73
XV. ანდაზები, გამოცანები, აკროსტიხი, სამათემატიკო გამო- ცანა, შარადა და რებუსი	77





ჯეჯილი

საყმაწვილო სურათებიანი

ყურნალი

იზარდე, მწვანე ჯეჯილო,
დაპურდი, გახდი ყანაო!...
ო. დ.


№ IV

წელიწადი მესამე



თფილისი
სტამბა წიგნების გამომცემელ ქართველთა ამსნახლობისა
1892

Дозволено цензурою Тифлисъ, 20 Іюня 1892 года.



ოთხი ძმა პეპელა

იყო და არა იყო რა;
იყო ოთხი ძმა ჰეჰელა,
ტებილ-სიყვარულით მუდამ დღე
დროს ატარებდენ ხელ-ხელა.

ერთხელ ბაღხაში უეცრად
წვიბამ მოასწრო ეველასა,
დაუშვა. . ოთხნიუ ფაცურით
მეუდგენ თავის შველასა.

მასლობელ ვეზვილს შესთხოვეს:
მოგვეც თავ-შესაფარიო,
წვიბამ მოგვასწრო, დაგვანხობს,
წავგვიღებს ნიავღვარიო.

საქართველო
პარლამენტი
ეროვნული
ბიბლიოთეკა

საბავშვო

— «ერთს თქვენგანს მივცემ ბინასა»,
 მიუგო ზრანჭვა-გრესითა,
 «ეველა რომ შემოგიწვიოთ,
 მთლად გადაძთელავთ ფესითა.

მაგოდენ ხალხის მიღება
 სწორედ არ შემძლიანო,
 ჰაწაწკინა ვარ, სასეულად
 მე დევის-პირა მქვიანო.»


— ძაღლობელი ვართ, ბატონო,
 მეტად ნუ შესწუსდებითო:
 ეველა ძმები ვართ, ერთმანეთს
 ერთ წუთს ვერ დავშორდებითო.

სთქვენ და გაფრინდენ ქვემოდა
 მიძარტეს აბეღინასა,
 «ლამაზო, შეგვიფარევი»,
 მუდარით სთხოვდენ ბინასა.

— «მე შემძლიან მხოლოდ აქ
 ორს თქვენგანს მივცე ბინაო,
 სხვები კი სხვაგან წავიდენ,
 ან გაემურონ შინაო.»

— ვერ გავშორდებით ერთმანეთს,
 წარმოსთქვა ეველამ წყენითა;
 სადღა წავიდეთ, დავსველდით,
 ველარც შინ ჩავალთ ფრენითა.

ბადი თან მოაქვს ნიაღვარს,
წვიმა მატულობს თანდითან,
საბრალლო ჰეჰელეები
ასლა მიფრინდენ სამბასთან



და სთხოვეს: «ტურფა სამბასო,
ნუ ჩაგვიკეტავ შენც კარებს,
მიგვიღე მანამ ცა ღრუბლებს
კადიურის, კამოიდარებს.

— სამს თქვენგანს სიამოვნებით
მივიღებ ასლავ ჩემთანა;
ხოლო მეოთხე მივიღეს
აქვე ჩემს მესობელთანა.

— ვერ გავშორდებით ერთმანეთს
ვართ ერთი დედის შვილები...
დაღონდენ ჰეჰელეები,
დარჩენ გულ-დაწვეკეტილები.

რაღა ქმნან, საღღა წავიდენ?
 ძლივს იბრუნებენ სულს და გულს!
 უკანასკნელად ბაღჩაში
 მიძარტეს კიდევ ბოსტნეულს.

იქ ბევრი გოგონა ეთესა,
 ერთი უვაოდან კიდევცა
 და სთხოვეს ეველამ: «ბატონო!
 მინამ გადიურის ნისლეებს ცა,

«ძოილე მოწყალებებ,
 მიგვილე, შეგვიბრალეო,
 ბინა მოგვეცი ამაღამ,
 არ შეგაწუსებთ სვალეო.»

— დიდ-სინარულით მიგიდებთ,
 ბლომად ძაქვს ბინა-ჭეროო,
 თავი არ მოძაქვს სიტურფით,
 არცა ვარ მშვენიერო;

მაგრამ რითაც კი შევიძლებთ
 განსაძმოვნებთ გულითა,
 დარბის ლუკმა და ბინა
 სავსება სიყვარულითა.

ფეს-აკრეფილნი შევიდენ
 თავ-შესაფარში ოთხი მძა
 და ისე ჩუმად არიან,
 რომ აღარ ისმის ერთის ხმა.

ფრთებ შეკუმშულნი, ჰატარად
მიმსხდარან მოწიწებითა,
აწც ერთს არ უჩანს უღვაში
დაფარული აქვთ ფრთებითა...

ჭეჭლეებმა შეიტყეს
იქვე ძეორე დილასა,
რომ ჩვეულებად ჭქონია
ცუდი სნე დევის-პირასა.

ვისაც კი ხელში იგდებდა,
აღარ უშვებდა იმასა,
რომ აბელინას ევაგილი
მთლად დაეფხრიწა წვიმასა.

და ფინჯანივით საძბასი
მთლად ავსილიყო წყალითა;
ძლივს გამოესწრო საბრალოს
გაწუწულ ჭიას ძალითა.

რა უხაროდათ ოთხთსავე
ერთმანეთს რომ არ დაშორდენ,
გოგრას შესწირეს ძაღლობა
და შინისაკენ გაფრინდენ.

შ. მღვიმელი



ორი პატარა იმერლის მოგზაურობა

(ვუძღვნი კნ. ვერა ივანეს ასულს აბაშიძეს)



დექი, შეილო, ადექი ვანო, გაიღვიძე გენაცვალოს დედა შენი!

— რატომ აედგე, დედა, ჯერ ხომ ადრეა. თვალის ფშენეტით და წუწუნით უპასუხა დედას პატარა ვანომ.

— რატომ, შეილო? აი, ეს სანთლის გული დამიკავე, შენი სიგრძე სანთელი უნდა ჩამოვქნა და დღეს ნასადილვეს შენს დედულში უნდა წაგიყვანო.

— დედულში?! ცქეიტად წამოხტა ლოგინიღვან ვანო, — კოტესთან, დედა?!

— ჰო, შეილო! კოტესთან და ბებიასთან. ყველას ვნახავთ. ხვალ გიორგობაა, შეილო, წმ. გიორგი ჩემი სალოცავია. გწყალობდეს მისი ძალი და მადლი. შესაწირავი მმართვეს. შენი სიგრძე სანთელი უნდა ჩამოვქნა და შევწირო. ერთხელ ავით მყავდი, შევპირდი, შევევედრე და შენი თავი მომიჩინა, ამ გვარ სიტყვებით ელაპარაკებოდა ერთს დილას დედა თავის პატარა ვანოს.

* * *

პატარა ვანო სულ რვა წლის ბავშვი იყო. მამა იმისი ერთი იმ პატიოსან და ალალ-მართალ გლეხთავანი იყო, რომელიც პატიოსანს შრომას, თავის მარჯვენას და ცოლ-შეილის სიყვარულს არაფერს არ ანაცვალებდა. ეკლესიის ახლოს ისე არ გაივლიდა,

რომ ქუდი არ მოეხადა, სამჯერ პირჯვარი არ გამოესახა და თავის ვანუას გაზრდა, დავაყვაცება არ შეევედრებინა ღეთისათვის; მაგრამ საბრალოს ბედმა უმტყუნა. ვანოს ბედნიერებას ვეღარ მოესწრო. ტყეში შეშის დაწყობის დროს ჩამოგორებული ხის მორი დაეცა ვანოს მამას და გაჭეჭვა.

დარჩა ობლად პატარა ვანო და საბრალო გამოუცდელი ქალი მაკრინე. მზე და მთვარე მაკრინესი იმ შავი ღლიდან მარტო ვანო შეიქნა. ეს ბაღლი იყო მისი უკანასკნელი იმედი, ოჯახის ბურჯი და მტრის თვალის დამყენებელი.

— ენაცვალოს დედა მისი ვანოს, როგორც შეიქნება თუთხმეტ-თექვსმეტის წლისა, მაშინვე ქალს ეუთხოვ და ოჯახს წამოვაყენებო“ ხშირად ამბობდა მაკრინე თავის მეზობლებში.

როდესაც სოფლის კანცელარიაში ვანოს მამა მკედრად მოიხსენიეს და მის მაგიერ ვანო ჩასწერეს კომლად—ოჯახის თავად—ხალხში ერთი ჩურჩული შეიქნა: „კიდევ მადლობა ღმერთს, რომ შეილი დარჩა, თორემ შენს მტერს, მის გადასახადსა ჩვენ მოგვაწერდენ, აი, ბიჭო, შეილის ყოლა რა არის! ოჯახი არ იქცევა, მისი სახელი არ ისპობა, ცეცხლი არ ჰქრება, კერა არ ცივდება. ადგილ-მამული და სახლ-კარი სხვაზედ არ გადადისო“.

* * *

ღიდ ხანს არ გაუელია, რომ ვანო და დედა მისი გზას ადგენ, დედულში მიდიოდნენ. ვანოს დედას შავ ბოლჩაში გამოხვეული დამცხვარი გომიჯები, ხაჭა-პურები მიჰქონდა, ვანოს კი ცოცხალი ინდოური გამოეჩარა ილღიაში და მისაუბრობდნენ. ვანო სიხარულით ფეხზედ არ იდგა. ვანოს ის უფრო ახალისებდა, რომ კოტეს ნახავდა და რამოდენიმე კვირა მასთან დარჩებოდა, კოტე ხნით უფროსი იყო ვანოზედ, სკოლაშიაც უფრო ადრე მიიბარეს. კოტე ვანოს ბიძაშვილი იყო. ეს სამი ოთხი წელიწადია, რაც კოტე სკოლაში დაიარებოდა და ვანოსთან შედარებით გონება გავსნილიც ჰქონდა და გამოცდილობითაც ბევრად მეტი იცოდა.

ვანოს მოსელამ და დედა მისის დანახვამ ბებია მთლად ააფრინა, სიცილ-კისკისით ჭისკარში შემოეგება, გრძნობით გადაკოცნა ორივე დედა-შვილი და უთხრა:

— გაგახაროს, შეილებო წმ. გიორგის მადლმა, ჩემი გახარებისათვის. დღეს, შეილო, დილიდგან დაწყებული თვალები სულ თქვენსკენ მეჭირა. ჩემი ყოჩია ბიჭი, ჩემი ვანუა! შენ ხომ ღარჩები ჩემთან, შეილო; დედაშენი ისევ წავა, ოჯახს მოუვლის და შენ ჩემთან იყავი პატარა ხანს, აი ჩემ კოტეს წაყევი ხოლმე სკოლაში და არ მოგეწყინება.

— კი, ბებია, მე შენთან დავრჩები, თუ დედაჩემი არ გამიწყრება.

— არა, შეილო, ღარჩი. მე რისთვის გაგიწყრები. ენკენისთვეში მაინც სკოლაში უნდა მიგაბარო და ახლა ბარემც შეეჩვიე. იყავი, შეილო, ბებიასთან, სანამ არ მოგეწყინდეს.—უთხრა ვანოს დედამ.

ამ ამბავმა კიდევ უფრო გაამხიარულა ვანო. დედამ სიტყვა მისცა, რომ მალე სკოლაში შეგიყვანო, ვანომ ეს ამბავი დიდი სიამოვნებით აცნობა თავის მეგობარს კოტეს. გათავდა დღესასწაული. ვანოს დედა დაბრუნდა თავის ოჯახში. ვანო კი კოტესთან დარჩა. კოტე და ვანო ერთის კვირის განმავლობაში ძალიან დამეგობრდნენ.

ყოველ დღე დადიოდნენ ტყეში და მინდვრებში. ვანომ ბევრი რამ შეისწავლა თავის ბიძაშვილისაგან. კოტე ზამთრობით სკოლაში დაიარებოდა და საშინლად მოსწონდა ბუნების სამეცნიერო საგნები. თავის სკოლის მასწავლებელს სულ ამ გვარ შინაარსიანს წიგნებს ართმევდა და კითხულობდა. კოტეს მასწავლებელსაც ძრიელ უყვარდა ეს საგანი. ზამთრობით მასწავლებელი ხშირად მოიწოდებდა ხოლმე კოტეს, მოისემადა გვერდით და მოაყოლებდა სხვა-და-სხვა ამბებს ფრინველების და მწერების ცხოვრებაზე. გაზაფხულდებოდა თუ არა, კოტე სულ მინდვრად დადიოდა და აღტაცებით აგროვებდა სხვა-და-სხვა ქვებს,, იჭერდა მწერებს, პეპელებს, ბუზებს და თავის მასწავლებელთან დაჰქონდა.

ერთხელ კოტე ტყეში წასასვლელად მოემზადა, თავისი პარკი, რომელიც მუდოს (თხუნელას) ტყავისაგან იყო შეკერილი, ჩამოიღო და ვანოს უთხრა:—აბა, ვანო, წამოიღე ეს პარკი და წამო ჩემთან ტყეში.

ვანოს ჯერ არ ენახა ამგვარი პარკი. აიღო ხელში, გადაათვალიერა-გადმოათვალიერა და გაუკვირდა. პარკი ხავერდის მგზავსი იყო. კოტემ შეატყო ეს თუ არა, მოკიდა ხელი და წაიყვანა:—ვანო, შენ, როგორც გეტყობა, მუდო (თხუნელა) არ გინახავს და ხვალ მე გაჩვენებ მის ხერვლს და მოგიყვები, რა წაირად ცხოვრებს მიწაში. უთხრა კოტემ; მაგრამ სახვალიოთ საქმე აღარ შექმნია. ცოტა გაიარეს თუ არა, ნახეს რომ ერთ ადგილას მიწა იყო ამოზურგული. „აი, ეს არის, ვანო, მუდოს ხერელი, შევიხედოთ. იმას ჰგონია, რადგან დედამიწაში არის, არავეს შეუძლია რამე ჰკადროსო. თუმცე ეშმაკია, მაგრამ თავისი ეშმაკობა ჩემთან არ გამოადგებაო, განაგრძო კოტემ. მუდო მიწაში სცხოვრებს და ირჩენს თავს სხვა და-სხვა მანებელი მწერებით. ამითი ის ძალიან ბევრს სარგებლობას გვაძლევს. ის რომ არ ყოფილიყო, აქამდის მიწის ჭიების წყალობით ჩვენ ბაღში ხეხილი: ატამი, ქლიაფი, სხალი და ვაშლი სულ დახმებოდნენ, რადგან მიწის ჭიები ძალიან მსუნაგები არიან და ხის ფესვებს ხრავენ.

მუდო ერთ ჭიასაც არ გაუშვებს დაუხერვლს და შეუჭმელს. ის საშინელი გაუმაძღარია; სულ თუ არ სჭამს—მოკვდება. ერთხელ დავიჭირე მუდო და ფეხით ხეზედ მივაბი. მეორე დილას მკვდარი დამხვდა. ერთი დღე და ღამე მშვიერი ვერ გასძლებს—იმ წამსვე მოკვდება.

კოტეს ლაპარაკი ვანოს აკვირებდა.—უჰ, რა ყოფილა ეს მუდო! ნეტავი ცოცხალი მაჩვენა, ენახო, რავარი არის. უთხრა ვანომ.

— ეს კი არა, ვანო, გასაკვირველი ის იყო, რომ შარშან ჩემ მასწავლებელს ორი დიდი გველის პერანგი მიუტანე, განაგრძო კოტემ.

მე თვითონ ენახე ჩემი თვალით, როდესაც ეს პერანგი გაიძვრეს. შენ ეგებ არც კი გაგიგონია, ჩემო ვანო, რომ გველი ტყავს იცვლის,

ყოველ ახალ გაზაფხულზედ ამ დროს ის სულ სხვა ნაირად დასოსავს დედამიწაზედ; ეძებს ისეთ ადგილს, ან ხის ფესვებს, სადაც გასაძრომი ადგილი ეიწროა და ამ ეიწრო ადგილში გაძრომის დროს ტანზედ გაუსკდება კანი, ამ გვარ გაძრომ-გამოძრომას განიმეორებს რამდენჯერმე, სანამ ძველი ტყავი სულ არ დარჩება ხის ფესვებ ქვეშ. ასევე, მეგონა, იქცეოდნენ დიდი ბაყაყებიც, რომლებსაც ჩვენ „გომფაშოს“ ვეძახით, მაგრამ ისინი თურმე სულ სხვა ნაირად იძრობენ ტყავს. ერთ ჭაობში მშვენიერი ჭრელი ტყავიანი გომფაშო ვნახე. მისი ტყავი მინდოდა მასწავლებლისთვის მეჩვენებინა და თვალყურს ვადევნებდი; აბა, სად დასტოვებს თავის ტყავს-მეთქი. მაგრამ იმედი გამიმტყუნდა. მერე მასწავლებელმა გვითხრა, რომ გომფაშოები სულ სხვა ნაირად იძრობენ ტყავსო: მთელ ტყავს უკანა ფეხებიდან წამოიღებენ, მოიტანებენ წინა ფეხებამდის, შემდეგ ძრიელ დასრესავენ, გაბერავენ და თვითონვე ჩაყლაპავენო.

გზის ნაპირას მშვენიერი ჭალა იყო. სასიამოვნო სურათს წარმოადგენდა ეს ჭალა: საითკენაც გაიხედავდი თველგან კეკლუცათ მორთული ხეები ეჯიბრებოდნენ ერთმანეთს. იქვე ბუჩქის ძირში წამოყუნტულიყო პატარა ბელურა და თავისებურად შესჭიკჭიკებდა გარშემო საქორწილოთ ჩაცმულს ბუნებას. შორს გაისმოდა თვალვებ-დახუჭული ბულბულის კრიალი, რომელიც ჭალას, თითქო დასადგომ ალაგს შესთხოვდესო. ჭალის გვერდითვე ჩუხჩუხით ჩამოდოდა პატარა მდინარე და ბანს აძლევდა ბულბულის ტკბილს გალობას. ფრინველები თვალ-უწვდენელ სიმაღლეზე ფრინავდნენ, კამარაში ბუზებს იჭერდნენ. ბუმბულს და ჩალა-ბულას ბუდისთვის იზადებდნენ და ერთ ჯაფა-გაწამაწიაში იყვენ. ჩვენი ყმაწვილები მათ ადევნებდნენ თვალ-ყურს და სიამოვნებდნენ. კოტე წინ-და-წინ მიდიოდა და ქვას ისროდა ჭალაში; ვანო კი მას მისდევდა კვალ და კვალ, არ დავიკარგოვო. ერთ ადგილას ქვა მოხვდა პატარა ბუჩქნარს და იქიდან გაფითრებული ჩიტი ამოვარდა. კოტე სიხარულით აქყოლობინდა.

— ვანო, ვანო, აი, წამო, წამო მალე. შენიშნე ის ალაგი, ჩიტი რომ ამოფრინდა?

— კა შევხედე, როგორ არა, უთხრა ვანომ.

— მაშ შენ აქ მომიცა, მე ავალ, ვნახავ, ამ ხეზედ უსათუოდ უნდა ბუდე ჰქონდეს. სთქვა კოტემ და ავიდა ხეზედ. კოტეს ხეზედ ასვლა და მის მეორე გვერდით ბუჩქიდგან ჩიტის ამოფრენა ერთი იყო. კოტემ ორგანვე იპოვა ჩიტის ბუდე. შიგ კვერცხები დაედვათ. ხელ-უხლებად დატოვა, მხოლოდ დაინიშნა ადგილი და ხეები. კვერცხების ნახვის დროს კოტემ ტუჩები დამუწა (მოკუმშა) და კბილები არ გამოუჩინია, რადგან გაგონილი ჰქონდა, თუ კვერცხებს კბილები აჩვენე, აღარ გამოტყდებოა. კოტემ ვანოს ისიც ასწავლა, რომ რადგან ჩვენი ნახული ჩიტის ბუდე ღელე გაღმა არ არის, არამც-და-არამც ცეცხლის პირას არ დაგცდეს „ჩიტის ბუდე ვიცო“, თორემ იმ წამსვე ჰინჰველები დასვეიან და ბარტყებს შეჭამენო.

— კოტე, რანაირად აკეთებენ ეს ჩიტები ასე მშვენიერად ბუდეს, ნეტავი ვიცოდე! — უთხრა ვანომ.

— ყოველი ფრინველი თავისებურად აკეთებს ბუდეს, განაგრძო კოტემ. — შარშან ერთ ადგილას ყვავის ბუდეს მივაგენი. ყვავს ეს ბუდე მალალი ხის კენწეროზე გაეკეთებინა. აველი ხეზედ, მინდოდა მენახა, კვერცხები იყო ბუდეში თუ ბარტყები. საუბედუროთ ტოტი მომიტყდა და ძირს გავადინე ბღერტა. ძლივს ავდექი და გონზედ მოვედი. შემდეგ ქუდის ძებნა დავიწყე და წარმოიდგინე, რომ ჩემი ქული ხის წვეროში ტოტზედ დარჩენილიყო და კონწიალებდა. მე ხეზედ ასვლა ვეღარ შევძელ და უქუდოთ შინ წავედი, რადგან ქუდიც ძველი იყო, აღარ გამიჯავრდენ. ეს გაზაფხულზედ იყო.

მეორე წლის შემოდგომაზედ, როდესაც იმ ადგილას მოგვიხდა ხარების მწყესვა, ჩემმა ძმამ ძველი ცარიელი ბუდე იპოვნა ტყეში და კარავში მოიტანა. მოვიკიდე ხელი ამ ბუდეს, გადავავლე თვალი და რა ვნახე: ჩემი ძველი ქული ძროთ გამოუყენებიათ ყვავებს და ზევიდგან ბუდე დაუშენებიათ. ვნახე ჩემი ქული და იმ წამსვე ვიცან. შემდეგ ვკითხე ჩემ ძმას: სად ნახე ეს ბუდე-მეთქი. ჩემმა ძმამ სწო-

რედ ის ადგილი და ის ხე მაჩვენა, სადაც მე ჩემი ძველი ქული დამრჩა ამ ერთის წლის წინად. ეს ბუდე მასწავლებელს ვაჩვენე და ბევრიც ვაცინე—სთქვა კოტემ.

ყველა ჩიტის ბუდეზედ უფრო მოეწონათ მათ ჭინჭრაქის ბუდე, რომელიც ერთ ძველ ხის ფულუროში მიაგნეს. კოტემ ფულუროში ჩაყო ხელი და იქიდგან მამალი ამოფრინდა. მამალი თურმე კვერცხებზედ იჯდა, რომ დედლის მოსელამდის კვერცხები არ გაცივებულყო. ბუდეში სულ ექვსი პაწაწკინტელა კვერცხი იღო. კოტემ გამოცდილებით იცოდა, რომ პატარა ბარტყები მალე უნდა გამოჩვილიყვნ. დედალ-ამალი ჭინჭრაქები იქვე მეორე ტოტზედ ისხდენ და გულმოსაკლავად დასჩხაოდენ კოტეს თავზედ. ასე ამბობენ, ჭინჭრაქა სულ ამას იძახისო: „ბიჭი ქლიტე, გოგო ზარდეო.“ ვანო კარგად დაუყვირდა ამ პატარა ჭრელ კვერცხებს, რომელიც ჯერ არ ენახა. ყმაწვილები მოშორდენ ბუდეს თუ არა, დედალი ჭინჭრაქა იმწამსვე ბუდეში ჩაფრინდა. მამალი კი მწერების დასაჭერად წავიდა.

* *

თამაშობაში და ჩიტების ბუდის ძებნაში ჩვენ პატარებს ისე შეუქმნიველად გაჰპარვოდათ დრო, რომ კარგად შებინდებული იქნებოდა, როდესაც შინისკენ ჰქნეს პირი. პატარა ვანო საშინელი მშიშარა იყო. ჯერ მამის სიცოცხლეშიდაც და შემდეგ სიკვდილისა, მაინც სულ დედის უბეს არ მოშორებია—მასთან იწვა ღამლამობით. ცოტა შებინდდა თუ არა, კოტეს ახალუხისათვის ხელი არ მოუშორებია. თუ რამე გაათაჩუნებდა, ვანო თევზივით ხტოდა და მიძიგიბობდა. „კოტე, მე ძლიან მეშინიან და რა ექნად, წავიდედ მალე“, ეუბნებოდა ხოლმე ვანო „ნუ გეშინიან, შე გლახა, მე აქ არა ვარო“—უპასუხებდა კოტე, თუმცა შიშის ზარი არც მას აკლდა. სწორედ ამ ლაპარაკში იყვნენ, რომ უცებ რალამაც გააშლაგუნა, გზის ზემოთ, გადმოჯლაგუნდა გზაზედ და მეორე მხრივ გადავარდა და საშინელი ქშენვა, ღრუტუნნი მორთო. ეს ლა აკლდა, რომ პატარა ვანოს სრულებით ჭკუა დაეკარგა. შიშმა თითონ კოტეც შეიპ-

ყრო; მაგრამ ბოლოს ხმით იცნო, რომ ნასუქი ტახი იყო ხის ნე-
შობებში მძინარე. განზედ რომ გავიდა, ვანოც გაახსენდა: „ვანო,
აბა, ბიჭო, ვანო, ხომ არ შეგშინებია? ეს ღორი იყო, ვანო, მეტი
არაფერი გეგონოს.“ ასეთი სიტყვებით ჩაჰკითხოდა კოტე თავის
პატარა ნათესავს ვანოს, რომელიც მას კალთაში ჩაფრენოდა და
სრულებით ხმას არ იღებდა. საბრალოს შიშისაგან ენა ჩაეაზნოდა
და მის ლულ-ლულს კაცი ვერ გაიგებდა. მოვიდენ თუ არა შინ,
ვანოს საშინლად გააცივა. ბებია მისი შიშისაგან კინალამ გაგიჟდა.
მესამე დღეს ცოტა მოსულიერდა და ვანო კოტემ თავის დედის
სოფელში წაიყვანა. გზაზედ, საუბედუროდ, საშინელი ცუდი ამინდი
მოესწროთ. წვიმა კოკის პირულად ასხამდა. კოტე და ვანო ისე
დასველდნენ, რომ ხელის სიფართე მშრალი ტანისამოსი აღარ მოე-
ძებნებოდათ. ვანო გზაში დაარჩია კოტემ; რომ შეშინების თაობაზედ
არაფერი დაცდენოდა დედასთანა. „ტყუილად შესწუხდება დედა შე-
ნი, მეტს რას გამოარჩები, ნურაფერს ეტყვიო,“ — უთხრა კოტემ. ვა-
ნო მართლაც ასე მოიქცა. იმ დღეს არაფერი, მეორე დღეს კი
ვანოს საშინელი სიცხე მისცა. მეორეთ კი ღვე გააცივა. სიცხეში
ღრო გამოშვებით წამოიკივლებდა ხოლმე: ააა! კოტე, მიშველე
მეშინიან, შინ მალე წავიდეთ.

ახლა კი სახუმარი აღარ იყო ვანოს საქმე. ვანოს ავადმყო-
ფობის დროს დედა მისი მთლად ლოყებს იგლეჯდა. იმ წამსვე
მკითხავებთან აფრინეს კაცი. მკითხავს უთქვამს, როგორც ყოველთვის
იციან, შეშინებული და თვალნაცემიანო; ამასთან მიწიდან აყოლი-
ლიც აქვსო.

* * *

სალამოს ჟამი იყო. პატარა ვანოს საწოლს გვერდით უსხდნენ
სამი სხვა-და-სხვა გვარის დედაკაცი. წინ სხვა-და-სხვა თესლის მარ-
ცვლეულობა ეწყოთ, ჯამით წყალი ედგათ და რიგრიგობით ულო-
ცავდნენ ავად-მყოფს:

„სახელითა მამისათა, ძისათა
და სულისა წმინდისათა.

შეგილოცავ თავებისასა,
პირველად ჩემი თავისასა:
გლეხისასა, აზნაურისასა,
კოჭ-დაბალისასა
კოჭ-მაღალისასა.
თვალთა არამთა
გულთა ლახვარი;
ასი კოდი მახათი
გულზედ ასვია, ვანოს
მტერი ვინც არის...
ასი კოდი ნაცარი
თვალში აყრია, ვანოს
მტერი ვინც არის“.

აახ! აახ! აახ! რამდენ სიტყვას იტყოდენ, იმდენჯერ დაამოქნარებდენ და თან წუწუნით ამბობდენ:—აი, საცოდავი, რა შეშინებულა, ყბები აგეძვრება აგერას იმდენს გვამოქნარებსო. ამბობდენ დედაკაცები. აქ უნდა შევნიშნოთ, რომ იმერეთში ქალებმა იციან, გამოლოცვის დროს თუ ხშირად მოქნარება აუტყდათ—ეს ნამდვილი ნიშანია აყოლილის და თვალნაცემობისო.

გამოლოცვა ვანოს არაფერს შევლოდა. სიცხე თან-და-თან მატულობდა. გამოლოცვა გაათავეს, შარნები გაუკეთეს და სამივე დედაკაცმა წაიღეს იქ, სადაც ვანოს უფლია ამ ორი კვირის წინედ. შემდეგ მღვდელიც მოიწვიეს ზეთი უკურთხეს, მაგრამ ვანოს გამობრუნებას მაინც არაფერი ეშველა. ისე გამოესალმა საუკუნოდ ამიერ წუთისოფელს, თავის საყვარელ ტოლ-ამხანაგებს, სკოლას და დედის ძუძუებს, რომ ერთი ფიქრათაც არავის მოსვლია ექიმის მოწვევა და ავადმყოფობის მიზეზის შეტყობა. ასეთი უმეცრების მსხვერპლი შეიქნა საბრალო პატარა ვანო.

თეოდ. ხუსკივაძე



პაპას ცოლ-შვილის გლოვა



არგა არ კათენებულა,
ცისკარი ბუუტავს ცაზედა.
სტირდა პაპას ცოლი,
მოსთქვამს, ქვითინებს მწარედა:

«გოგო, სადა ხარ, ბიჭ-კუჭრნო!
რად არ გამოხვალთ კარზედა?
დავიღუპენით ბეჩავენო,
ცეცხლი გვედობა თავზედა.
კარში გამოდით დამწვრებო,
პირს რომ დააღებთ მსაზედა!..»

ორნი საბძლიდან მორბიან
იქ წოლილიყუნენ ბზეშია,
შინაით თამრო, ჩონქარა,
დედას რომ უწვენენ გვერდშია.

— დედა, რა არი, რად სტირი?
ორნი მოსძახენ აქითა.
სხვანი თმაგაწეწილები
დედას წინ უდგან ჭრანქითა.

«დედა მოგიკვდათ დამწვრებო,
თქვენნი ნამდვილი გამწრდელი;
მკუდარი ვიპოვნე ბაგასე,
როცა შევანთე სანთელი.

19900

საქართველოს
პარლამენტის
ეროვნული
ბიბლიოთეკა

«მოგვიკვდა ქიტონელაი,
ბოსელშია წევს ძკვდარია...
ძროხა, რა ძროხა, ვაიძე,
ძთელის სძელეთის დარია.

«ფური, რა ფური, რამდენმა
სვეწით გვიცვალა ხარსედა.
თვალი ვინ გვივინო, წეუელმა,
ცეცხლ მოსადებმა თვალსედა.»

ეს თქმა იყო და შეიქმნა
ხუთ-პირად გლოვა-ხარია,
ხელების ქნევა, თმის წეწა,
წარღვნისა შესადარია.

სუთის წლის ბიჭი, ჩონქარა,
ძეტადა სტირის სხვასედა,
ხელსა ჭხვევს ქიტონელასა
და თანა ჭკოცნის რქასედა.
სოფელისც ეური აცქვიტა,
«ვანს» ძახილის სძასედა...

ვაჟა-ფშაველა



დამაცალე და ამწუთა

მათიკო და მაშიკო მეგობრულად ცხოვრობდნენ. ამ ორ დანს მეტი სასელი ერქვათ. მათიკოს ეძახდნენ «დამაცალეს», იმიტომ რომ რასაც კი დაასაქმებდნენ, მაშინვე უზასუხებდა «დამაცალე», არ ეჩქარებოდა საქმის კეთება და ამის გამო ხშირად აფუჭებდა ყოველფერსა. მაშიკოს კი ეძახდნენ «ამ წუთას», რადგან არ უეუარდა საქმის გადადება და ყველათფერს იმ წუთასვე ასრულებდა. ამ ორ დანს ძალიან უეუარდათ ერთმანეთი და სულ ერთად თამაშობდნენ:

იმათ ჭქონდათ ერთი მშენიერი მხიარული ოთანხი დედის ოთანხის გვერდით. ლოგინები ერთად ედგათ, ისე რომ ხელთ გადასწვდებოდნენ ერთმანეთს.

ერთ დილას მათიკოს ჯერ კიდევ თვალები არ ახსილა, როდესაც მოესმა რაღაც მხეილი, გადმოხრუნდა და იკითხა: განა, წვიმს მაშიკო? წაიბუტბუტა თვალ-დანუჭულმა.

— არა, უზასუხა მხიარულად მაშომ, აბა განსილე თვალები, ნახე რა მშენიერი დღეა. განა ჯერ არ ადგები?.

— როგორ არა, დამაცალე, სთქვა მათიკომ;— რა კარგია წოლა! მე რომ დიდი ქალი გავხდები, ჩემ რძეს და თეთრ ზურს შემოვატანინებ ხოლმე და ყოველთვის ლოგინში შევექცევი, რაკარგი იქნება!

— მართალია მეც ძალიან მიუვარს რძე, მაგრამ ადრე ადგომა მირჩევენა სწორედ. ახლა ბაღში სირბილს და უვა-

ვილები კრეფას არა სჯობია რა. ადექი, მათიკო, წავიდეთ და სანამ სწავლას დაუიწყებდეთ, ლამაზი ვარდის კონა გავაკეთოთ. განსოვს, წუხელის რომ ძამამ გკითხრა, დღეს დედას დღეობააო. შენ ვარდის ბუჩქს წუხელის ორი მშვენიერი კოკორი ჰქონდა; დღეს უთუოდ გაიძლებოდა,

— შენ კიდევ მხადა ხარ და მე როგორღა მოვასწრობ, უზასუსა მათიკომ.

— მაშ, კარგი, მე წავალ, ვნახავ, თუ საუხმე მხად არის. ჩვენ წიწილებს საკენკს დაუერი და მოგიცდი, რომ ერთად წავიდეთ ბაღში, უთხრა მაშომ.

მათიკომ ამოიოხრა და სთქვა: ნეტაი მეც აძღვარი ვიყო. უჩემოთ მანც ნუ მოჰკრებ ევაუილებს.

— არა, უთხრა მაშომ მხიარულად, გამოვიდა ოთახიდან და ჩაირბინა კიბე.

მათიკო კი გადაბრუნდა კედლისკენ, გაეხვია საბანში და გეპრიელად ჩაეძინა. ის გამოაღვიძა კარების ჭრიალმა. მაშოს მოსწეინდა ცდა და მოვიდა თავის დის სანახავად.

— ჯერ კიდევ არ აძღვარხარ? ჰკითხა მან გაკვირვებით. ახლა რვა საათზე მეტია. შენი რძე კიდევ გაცვივდებოდა და ევაუილების მოკრეფის დროც აღარ გვექნება. როდესაც მათიკო წარმაცად იცვამდა ჩულქებს, მაშიკო ეუბნებოდა: «აფსუს, მათიკო რომ არ გამოხვედი და არ ნახე ჩვენი ვარიები. რა მშვენიერები არიან, საკენკს ხელიდან მაცლიდენ. ერთი იძისთანა ვუითელია და ისეთი აბუძგვნილი ბუძბული აქვს. აი, შენი კაბა, მოდი ჩაგაცვა. რატომ ფეხსაცმელზე ფოლაქი არ შეიკარი?»

— ფოლაქი ასძვრა და რითი შევიკრა, უზასუსა მათიკომ.

დამაცალე და ამწუთა

— მამ დააკერე ძაღე, აი, ნემსი და ძაფი.

— დამაცალე, ძერე იეოს, რა ძეჩარება, ფეხსაცმელი ხომ არ გამძვრება ფეხიდან და ახლაკი ძალიან მძინან.

ორი და ერთად გამოვიდენ ოთახიდან და როდესაც ძათიკომ საუხმე გაათავა, გაიქცენ ბაღში ყვავილების მოსაკრეფად.

ამოარჩიეს საუკეთესო ყვავილები, რაც კი მოიპოვე ბოდა. ძათიკომ მოსწევიტა თავისი ახლად გაძლილი ვარდებიცა.

— ესენი წყაღში ჩავდგათ, სთქვა მამომ და ამ საღამოს, როდესაც სადილს გავათავებთ, მივარტმევთ დედას. იმას ძალიან იამება, რომ იმის საყვარელს ჰატარა ქალებს არ დავიწეებიათ მისი დლეობა. ძე მინდორში ვნახე ეროი ადგილი, სადაც ბევრი ცისფერი ყვავილებია; ისინიც დავუკრიფოთ, მაშინ უფრო ლამაზი კონა იქნება. აბა, გავიქცეთ ძაღე...

მაშიკო შურდულივით გაექანა მინდვრისკენ და როდესაც სუნთქმის მოსაბრუნებლად შესდგა, მოიხედა უკან, ნახა, რომ ძათიკო დგას ბაღახებში და რაღასაც ეძებს.

— რას აკეთებ მანდ ძათიკო? ჰეჰელას იჭერ?

— ანა, ფეხსაცმელი დამეკარგა და იმას ვეძებ... ისეთი ძაღალი ბაღახია, რომ ველარ მიპოვინა. მოდი შენ გენაცვალე, მამო, და მიშეეღე, ფეხი ვერ დამიღვამს დედამიწასე, ჭიანჭველისა მეძინიან.

— მაშიკო ერთ თვალის დახამხამებაზე გაჩნდა თავის დასთან და გულმოდგინეთ ეძებდა ფეხსაცმელს. ძათიკო კი იჯდა ძირს და მოწეენით იმახდა:

— ჩვენ ვეღარ ვიზოვნით, მინამ ბალახს არ მოსთიბავენ... და ფესსაცმელი მანამდინ კიდევ დალზება. შიკ ათასნაირი სპაგელი ჭიაჭუა დაიბუდებს. როგორ უნდა წავიდე სახლში?

— ნუ სწუხარ, მათიკო, უთუოდ ვიზოვნი, აქ ახლოა მხლო ბალახებს ქვეშ იქნება, აიძვლებდა მაშო.

— არა, არა ღირს ძებნად; მოძეცი ხელი მაშო და ასე ცალფეხი ასკინკილად წამოვალ.

— აი, წამოაყენა მაშომ მხიარულად და უხვენა ფესსაცმელი. შენ თურმე ხედ ძედარსარ. დებმა მხიარულად მოკრიფეს ყვავილები და დაბრუნდეს სახლში.

მაშომ მოიტანა ჭიქით წყალი და ჩააწყო თავის მძვენიერი ყვავილები. მათიკომ კი დაუარა სტოლსე და თითონ სავარძელში ჩაჯდა.

— განა შენი ყვავილები მაგრე უნდა ეყაროს? ჭკითხა მაშომ.

— დამაცალე, ახლა ძალიან დაღალული ვარ და მერე ჩავდგამ წყალში.

ერთ წუთს შემდეგ დედაც მოვიდა და დაუძახა ბავშვებს გაკვეთილების სასწავლებლად.

მათიკო ნიჭიერი ბავშვი იყო. იმას ძალიან უყვარდა სწავლა და გულმოდგინეთაც ეკიდებოდა. იმის რვეულები და წიგნები სუფთად და ფაქიზად იყო შენახული. თუმცა მაშინ იმდენად არ უყვარდა სწავლა, მაგრამ ეყვალა ძალას და ღონეს ახმარებდა, რომ დედისათვის ესამოკუნებინა.

ერთი სანათის განმავლობაში ბავშვებმა წაიკითხეს, უთხრეს დედას ზეპირად ლექსები და სამლო ისტორია უამბეს.


დაძაწყაღე და ამწუთა

მაშო საკარნახეს სწერდა და მათიკო კი არითმეტიკულ ამოცანას აკეთებდა.

— ძალიან კარგი, ჩემო საყვარელო შვილებო, უთხრა დედამ. ახლა დაახლოებთ თავთავის ადგილას თქვენი წიგნები და რვეულები და წადით ბაღში, ითამაშეთ.

მათიკომ დასტოვა თავისი წიგნები და რვეულები. მოჭკიდა ხელი დას, კარები ღია დააგდო და გაექანა ბაღისკენ.

ზატარა ხანს შემდეგ ამოვიდა მათიკო, რომ შლიანა დაეხურა და როდესაც ნახა თავიანთ სასწავლო ოთახის კარები ღია, მაშინ მოაგონდა თავისი რვეულები და შევიდა დასაღებებლად. მაგრამ წარმოიდგინეთ, რა მდგომარეობაში დაუხვდა მათიკოს თავის სუფთა მშვენივრად ნაწერი რვეულები და წიგნები. არითმეტიკული ამო-



ცანის წიგნი ეგდო ძირს იატაკზე, იმის გვერდით დაფურცლული და ტალახში გასვრილი რვეულები. ამ არეულობის მომქმედო კი იჯდა მოსვენებული და თებობდა მსეზე.

— ეს სწორედ გიშერას ბრალია, ჭკვიროდა გაჯავრებული მათიკო.

— აფსუს, ჩემო გაკვეთილებო, რვეულებო. აი, შე, სადაკელო გიშერავ, შე შენ აღარ მიეჯარხარ!

ამ დროს შემოვიდა მაშოც და როცა ნახა თავისი დის მწუხარება, ძალიან ეწეინა და ცდილობდა, როგორმე ნუგეში ეცა.

— წავიდეთ დედანთან, წამოიყვირონ მათიკომ და თავისი რვეულით და წიგნით შევიდა დედას ოთახში.

— უუურე, დედა, იმ საძაგელს გიშერას რაუქნია, როგორ დაუხვევია ჩემი რვეულები, იძახდა გამწარებული მათიკო და ღვაწლივით ცრემლი გადმოხდიოდა თვალებიდან.

— როგორ მოხდა? განა კარები ღია დასტოვე?

— რა ვიცი. მე საჩქაროდ გავიქეცი ბაღში, რომ მაიმუნები შენახა და კარებს კი ყურადღება არ მივაქციე.

— განა შენი რვეულები და წიგნები ყუთში არ შეინახე?

— არა, დედა, უნახუნა დარცხვენით მათიკომ. მე მინდოდა ძაღვ დავბრუნებულავიყავ, მაგრამ დამავიწყდა.

— მაშ გიშერას რა ბრალია? როდის ისწავლი, ჩემო შვილო, ყოველი შენი მოვალეობა იმ წამსვე გააკეთო და შეძღვევისთვის არ გადახდო ხოლმე? ძალიან ვსწუხვარ, იმის მაგივრად, რომ ეხლა წამოხვიდე ჩვენთან სასეირნოთ, უნდა დარჩე და გადასწერო შენი გაკვეთილები, უთხრა დედამ.

მათიკო გულდანსიებული შემოვიდა სასწავლებელ ოთახში. აკრიფა იატაკიდან დახეული ფურცლები, მიუჯდა სტოლს, აიღო ხელში კალამი და შეუდგა თავის მოვალეობის შესრულებას. ცდილობდა, უწინდელზე უკეთ გადეწერა. როგორც კი დასწერა ნახევარი ფურცელი, ამ დროს გაიღო ჩუმი კარები და შემოვიდა მამო და წაუჩურჩულა:

— მეც შენთან დავრჩები. აბა, მომეცი შენი ფესხაცმელი და ფოლაქს დაგიკერებ, მაინც საქმე არაფერი მაქვს.

— განა შენ დედას არ წაჭყევი სასეირნოდ? ჰკითხა მათიკომ.

— მე უშენოდ სეირნობა არ მინდოდა. დედამაც .ნებს მომცა დაურჩენილუიყავ, როდესაც გაათავებ შენს გაკვეთილებს, მაშინ წავიღოთ ჩვენი სათამაშოები და ერთად ვითამაშობოდ.

— შენ ძალიან კეთილი გულისა ხარ, ჩემო მაშკო, უთხრა მათიკომ, გადაეხვია და აკოცა. აი, ჩემი ფეხსაცმელი, მაგრად კი დააკერე ფოლასი. მე კი ვეცდები წინანდელზე უკეთ გადავსწერო ჩემი გაკვეთილი. ამას შემდეგ ოთახში მოისძოდა კაღმის ფხაჭუნი. მაშკო კი აკერებდა ფეხსაცმელზე ფოლასს. ბოლოს მათიკომ წამოიძახა: «გავათავე!»

ბავშვები სინარულით წამოვარდენ წესე, მათიკომ ახლა კი ჩააღაბა ეუთში თავის წიგნები და რვეულები. მოკრიფეს თავიანთი სათამაშოები და ჩავიდენ ბაღში. მუხის ძირში მშვენიერი ჩრდილი იყო. იქ დააღაგეს სათამაშოები და გაერთვენ თამაშობაში.

რამდენსამე ხანს შემდეგ ბაღში მოესმათ დედის ხმა: «მაშკო, მათიკო, მანდა ხარ?»

— აქა ვართ, დედა, უხანუსეს ერთ ხმაღ ორივე ბავშვმა.

— უნდა დავასაქმოთ, უთხრა დედამ. წადი, მაშო, მებადესთან და უთხარი, რომ სადილისთვის კარგი მწიფე ატმები მოგვიკრიფოს. შენ, მათიკო, წადი მერმევესთან, ფერმაში და სთხოვე, რომ რძე და ნაღები გამოგვიკვანოს. ჩვენ მხარეულს შაქრის ზურები გაუკეთებია და რძით გემრიელი იქნება. ნაღებიც ეავას მოუხდება. ძაღე კი წადი, თორემ ხუთ საათზე მერმევეს ქმარს რძე და ნაღები მიაქვს ქაღაქში გასაყიდათ.

— დამცალებე, დედილო, ახლავე წავალ, უპასუხა მათიკომ.

მაშო მაშინათვე წავიდა მეზღესთან, მათიკო კი მიუბრუნდა თავის თოჯანს, რომელიც ტიტველი იწვა სკამზე.

— მე მგონია, მოვასწრებ ჩავაცვა ტანისამოსი ნუცას, თორემ ცოდვანა გაცვივდება, დაჯდა და დაუწყო ჩაცმად, ბარცხნა, თმა დაუწნა და როდესაც მხად იყო, დასვა სკამზე, დაუბარა ჭკვიანად ეოფილიყო და წავიდა ფერმისკენ.



როდესაც მათიკო მოვიდა ფერმაში, მერმევე დედაკაცი იჯდა სახლის კარებთან და ლობიოს არჩევდა. მათიკომ გადასცა დედის თხოვნა, მაგრამ მერმევე უპასუხა.

— ძალიან ვწუხვარ, მაგრამ ეს არის, ახლა, გააკონაუნე რძე და ნაღები ქალაქს და სახლში აღარაფერი დამჩენია.

მათიკო ხელად გამობრუნდა სახლისკენ და სწუხდა, რომ ურძეოთ და უნადებოდ დარჩა.

მაშოც მალე მოვიდა, ბავშვები ავიდენ ოთახში ხელპირის დასაბანად და სადილისთვის ემზადებოდნენ.

სადილ შემდეგ მოიტანეს მშვენიერი ატმები. შაქრის ჰური, მერე ყავა, მაგრამ არც რძე და არც ნაღები არსად იყო.

— განა ფერძსე რე და ნაღები ვერ იძოვე! — ჰკითხა დედაძ.

— ვერა. რე და ნაღები სულ ქალაქში წავღოთ განა სეიღათ, უზასუსა ძათიკოძ.

— ძაძ დღეს უნდა უნაღებოთ ეავა დაღლიოთ და ურძ ძეოთ ვჰაძოთ ჩვენი შაქრის ჰურები? უთუოდ ფერძის ჰატრონი დღეს ჩვეუღბრივსე ადრე წასულა ქალაქს.

ძათიკო გაწითღდა და რადგან სიცრუის თქმა არ შეეღლო, აძიტოძ ჩუძად წაიბურტბურტა:

— არა, დედა, ფერძის ჰატრონი თავის დროსე წასულიეო; ძაგრამ ძე ძაძინათვე არ შევასრულიე შენი ძონდობიღება. ძე ძინდოღა, ჯერ ჩემ ნუცასთვის ტანისაძმოსი ჩაძეცძია.

დედაძ ძოწეენით შესეღა ძათიკოს, ძაგრამ ძაძო ძოეხვია და უთხრა: ნუ გაწწერები, დედიკო, დღეს ხოძ შენი დღეობაა.

როდესაც გაძოვიღენ ჰურის საჰძელ ოთახიღან, ძაძოძ ძოკიღა ხელი ძათიკოს და წაუჩურჩულა:

— აბა, წავიღეთ ახლა და ძოუტანოთ დედას ჩვენი ევავიღები.

— ჩვენი ევავიღები! წაძოიევირა ძათიკოძ, ძე სრულიებით დაძავიწეღა, ჩაძეღვა წეაღში ვარღები და ვინ იცის, ახლა დაჰგნა კიღეც!

— იქნება ჯერ არ არის დაძგნარი, სთქვა ძაძოძ.

რალა თქმა უნდა, რომ ევავიღები უწეაღოდ სრულიად დაძგნარიეო. ახლა კი ძათიკოს ძაღიან ეწეინა. დაჯღა იატაკსე, ძიიფარა თვაღებსე ცხვირსახოცი და დაიწეო

ცხარე ცრემლით ტირილი: «მე ველარაფერს ვერ მოვულოცავ დედას, იძახოდა ის.

მაშო ცდილობდა, ნუგეში ეცა და ეუბნებოდა: ნუ სტირი გენაცვალე, მათიკო, აი, წაიღე ჩემი ყვავილები.

— ჩემი ვარდები, ჩემი მშვენიერი ვარდები, რომელსაც მუდამ დილა შევსაროდი, რომ დედასთვის მომეტანა, იძახდა გამწარებული მათიკო.

ამ დროს დედა შემოვიდა ოთახში და ნახა, რომ თავისი ორი ჰატარა ქალი იჯდა იატაკზე. მაშო უწმენდდა თვალებს მათიკოს, რომელიც თავ-ჩაღუნული სტიროდა.

— ეველასე უფრო ის მწუხებს, დედიკო, რომ დღეს შენი დღეობაა და მე კი არაფერი მაქვს, რომ მოგილოცო. ჩემი მშვენიერი ვარდები დამიჭენა. მე ძირჩეგნია კიდევ გადავწერო ჩემი გაკვეთილი, ოღონდა კი ჩემი ვარდები არ დამიჭენარყო. დღევანდელი დღე მანც ჩემთვის უბედური დღეა! ჩემი ფეს-საცმელი!... ჩემი რვეულები... რძე და ნალები... ვარდის კონა. . მათიკო ცხარე ცრემლით სტიროდა და მოსთქვამდა.

— დამშვიდდი, შვილო, ეუბნებოდა დედა ალერსიანად, ახლა კარგად დაფიქრდი და მოსძებნე მიზეზი იმ უბედურობისა, რომელიც შენ ჩამოთვალე.

— მე ვიცი, დედიკო, რომ ჩემი ბრალია, რადგან მაშინათვე არ ვასრულებ ხოლმე იძას, რასაც დამასაქმებ, ეველასეში დამაცალა ვარ, მაგრამ როგორ მოვახერხო, რომ არ ჩავიდინო ამისთანა საქციელი?



დამაცალე და ამწუთა

— თუ კი მოინდომებ, უეჭველია, გადაეჩვევი მაც ჩვეულებას, შვილო, უპასუხა დედამ.

— მეც გიშველი, უთხრა მამამ და ეველა საქმეს მამინვე გაზაპეთებთ ორივე.

— კარგი, კმარა ტირილი. აბა, ახლა მაცოცხეთ, ჩემო საყვარელო შვილებო. წავიდეთ მამასთან, რომელიც, უეჭველია, გველის. რადგან დღეს ჩემი დღეობაა, ამიტომ ტირილი არ შეიძლება და თუ მათიგო «დამაცალეს» არ იტყვის და რაც გასაკეთებელი აქვს ამ წუთაში, არ გადასდებს ხოლმე, ეს იქნება ჩემთვის საუკეთესო საჩუქარი, რომელიც სამუდამო სახსოვრად დარჩება ჩემს გულში.

— ვეცდები, დედილო, უპასუხა გულწრფელად მათიგომ და მართლაც შეასრულა თავისი სიტყვა.

გვ. მ—სა.



მეჭლისი ლომისა

(არაკი)

I



რთხელ ლომს, ნადირთ-მეფესა,
 ხარი მოეკლა ირემი,
 მოჰქონდა თავის ბინისკენ
 ნადაელი, ნანადირები.
 ეტყობა სისხლი ირმისა
 თოვლზედა დანადინები.
 ამ ნასისხარსა მალედვე
 მშიერი შეხვდა მელია.
 მისდევს სისხლის კვალს, აწუხებს
 მუცელი ცალიერია:
 იქნება ერთი მაინცა
 ჰხედეს ლუკმა გემრიელია.
 ცოტას ერთს ადგილს შეჩერდა,

რა ნახა ნაბოტარები;
 არ ექაშნიკა, როგორღაც
 ლომისა ნატოტარები.
 მაგრამ სთქვა: წავალ, შევედრებ,
 თავს შევებრალე მეფესა,
 ჩემს დამძარებას ეუამბობ
 ტყეში სიმდიდრის მკრეფესა.
 ვეტყვი, რომ მშიან ძალიან,
 ველარსით გაეხდი ღონესა;
 თაგვებმა, ჩიტუნებმა,

დამტანჯეს დამაღონესა.
გაუგორდები ფეხებ ქვეშ,
მუხლზედ ვაკოცებ ძლიერსა;
ისე თავს როგორ შვირცხვენს,
არ გამომაძღობს მშიერსა?!

II

მელამა ნახა შორიდან,
ლომი ატყავებს ნადირსა,
აწყობდა ასო ასოდა
ლემს თავის სოროს ნაპირსა;
თან კბილი გაჰკრის ირმის ხორცს,
აწლაკუნებდა თან პირსა.
რა ფიცი მინდა ამისთვის,
მელა ვერ მიდის ახლოსა;
იმდენი გული ვინ მისცა,
რო ლომთან მისელა შესძლოსა.
ესეთი ყოფნა ვაგებით
რა გულმა უნდა გაჰსძლოსა?
თუმცა კარგახანს ითმინა,
ბოლოს ამოთქვა მელურად,
ყელ-მოღერებით, რიხითა,
დიდი ხმით, ხვეის ბერულად:
—ოჰ, ვენაცვალე შენს კლანჭებს,
ჩვენო მცველო და ბატონო,
ობლის, ქერივის და საწყლისა,
გაჭირვებულთა პატრონო.
კაი ნადირი მოგიკლავს,
ღმერთსა ესთხოვ, მოჰკლა მრავალი,

ხელ-მომართული გატაროს,
 საცა გზა გქონდეს სავალი.
 ნუგამიწყრები სალმისთვის
 და ნუ შემრისხავ მელასა,
 თვის ფერხთა მტვერი დაზოგე
 შენის ცოლ-შვილის ღხენასა.
 შენ რად ირჯები, მეფეო,
 რად არ მიბრძანებ შეველასა!...
 ლომი კარგს გუნებაზეა
 გართული ლომურს ფიქრებში,
 ისე კარგს ესეთს გულზედა,
 არც კი ყოფილა თვის დღეში.
 მელს გადაჰხედა დინჯადა
 ცეცხლის მსროლელის თვალებით;
 მელა მის თვალთა პჭყერიალსა
 იტანს ტანჯვით და წვალებით.
 მელაო, შენ!?... საით გივლია?
 მადლობელი ვარ სალმისა.
 მიკვირს, რომ გაგიბედნია
 ლომის დავლება თვალისა?
 იქნებ სურსათი დაგაკლდა
 ავასაუბრა იმანა?!
 —განა შენსაებ, ბატონო,
 უფალი მწყალობს ციდანა?
 გუშინდელს აქეთ დავდივარ
 ვაწყდები ლობე-ყორესა.
 არ გატყუილებ, ღეთის მადლმა,
 სულ მოგახსენებ სწორესა.
 ვერაფერს გაეხდი, ამაოდ
 ჩაესდევ და ჩაესდევ გორებსა.

მ ე ჯ ლ ი ს ი ლ ო მ ი ს ა

ვერცა-რა თვითონ ვიახელ,
ვერცა-რა უძღვენ სწორებსა.
ამ თოვლ-ტიალმა დამლუპა,
მიწა დაფარა მალლიდან;
რა შემინახავს, თუ სარჩო
არ ამოვიღე დაბლიდან.
ჩიტები ხეზე შეფრინდენ,
სოროში შეძერენ თავებში;
ალარ იხედვენ გარეთა
სიცოცხლე გასამწარები,
რო მომერთმია შენტვისაც
იმათ მსუქანი თავები.
—ჯერ ხომ არ დაებერებულვარ,
რას მოედები მელაო?
მოდი, საწყალო, გაგაძლო,
თაგუნების მტერაო...
ერთს რასმე საქმეს გავალებ,
მაგრამ გაძელი ჯერაო.
შენ რომ შიკრიკად დაგნიშნე,
იქნება არა გჯერაო?
მელია მოდის კანკალით,
მიცოცავს ნელა-ნელაო.
ჩოქით სალამი მიართო,
თვალეები შეაჩერაო.
ლომმა გადუგდო მელიას
ერთი ნაგლეჯი ფილტვისა
და თანაც თავისებურად
მელის სასმენლად იტყვისა:
—მეჯლისს ვაპირებ, მელიავ,
ხვალე მექნება სადილი,

ხომ იცი არ შაიძლება,
 არ ავისრულო წადილი,
 ამიტომ მინდა ტყეებში
 ჩემ ყმა-ვეწირთა ძახილი.
 დამიპატიე სოროდამ
 ის ბანჯელიანი დათევბი,
 მგლები, კალდონნი, კატუნნი,
 ფხიზლად გეჭიროს თვალები.
 ვეფხი არ მინდა, ავია,
 არ არის დასაზავები.
 შენ იცი, ჩემო შიკრიკო,
 როგორაც დაეჩქარები,
 ასრულდეს უნდა სასტიკად
 მეფისა დანაბარები.
 — შენ თუ მიბძანებ — სთქვა მელამ,
 თან ეზიდება ხორცსაო,
 სულ შემოვირბენ ამაღამ
 ცხრას მთას, ცხრაათს გორსაო.
 — აჰა, ეს ერთი ნაწლევები,
 კარგათ ატარე დროება;
 ვინძლო ყოჩაღად მოიქცე,
 გამოიჩინო შნოება.
 ფიცხად, თუ არ მოგინდა
 სიცოცხლის გამოთხოება.
 ხომ იცი გარდსახეწველი
 გზა არსით მოგებობა!
 ლომის წესია ალერსი,
 თან დატანება რიხისა,
 უამისობა არ ეარგა,
 მეფემ ეს კარგად იცისა.
 ეფიქრებოდა, რა ექნა,

მელის ხრიკის და ქლინძისა.
 შემომიკრიბე სტუმრები,
 შენაც მეწვიე მელია,
 აბა, ხვალ, შუადღისასა
 ჩემი სტუმრებით გელია.
 მელია მარდად წამოხტა,
 კბილით მიათრევს ნაწლევსა
 თავს დიდად ბედნიერად ჰრაცხს,
 დიდად აფასებს ნაძღვნევსა.

III

მელა მიმორბის ტყეებში,
 ჩხავის, იძახის ძლიერა:
 ხვალე მეფეს აქვს მეჯლისი,
 უფალმა გააძლიერა.
 დათენო, გამოდით სოროდან,
 მგლებო დასტოვეთ ჯაგები;
 კალდონო, ციხე-დარბაზი,
 სალის კლდისაგან ნაგები.
 ეფეხი არ უნდა მეფესა,
 იმაზე მოსდის ბრაზები.
 კატუნო, თქვენაც მობძანდით,
 ნათესაენი ხართ ლომისა;
 იმისებრ ჰხმარობთ კლანჭებსა,
 იცით მის წესი ომისა,
 ტურებო, ჩხავანებო,
 ყური მიეცით სმენასა,
 თქვენაც წამოდით; მხოლოდ კი
 კბილი დაადგით ენასა.

ლომთან არ მოჰყვეთ ჩხაველსა,
 მე გამიგონეთ მელასა.
 თაეზიანად იყავით
 გეყურებოდეთ ყველასა.
 შეიძრა მთელი ქვეყანა,
 შეიძრა მთა და გორია;
 ყველა ერთმანეთს ეხალა,
 დათვი, მგელი და ღორია.
 ამ ყვირილის დროს მელასა
 თავს წამოაწყდა შველია.
 თვალ-დაფეთებით მორბოდა,
 კისერი აუშვერია.
 ლომის მეჯლისში მობძანდით,
 უკან მისჩხავის მელია.

—შენმა მზემ ეხლავ იქა ვარ,
 თუ კი არ დაუჯერია.
 შხამად შეერგოს, რაც იმას
 შველები დაუჭერია.
 გადახტა, გაინავარდა
 კამარებისა სახვითა;
 გული იესება სილაღით
 მხოლოდ სილაღის ნახვითა.
 მორბოდა ხარი, ირემი,
 ტყე ამოჰსვლია თავზედა,
 გუშინ ტოლისა დაკარგვით
 ცრემლი ჩამოსდის თვალზედა.
 იმასაც ისე მისძახა
 ლომის შიკრიკმა, ცბიერმა.
 მშვიდის თვალეებით შეჰხედა
 ხარმა ირემმა ხნიერმა,

მ ე ჯ ლ ი ს ი ლ ო მ ი ს ა

ხმა თუმც არ გასცა ლამაზმა
შეხედულობით ძლიერმა.

გაფრინდა, როგორც ისარი,
რქებმა წაიღო წკრიალი;
იამა დედა-მიწის გულს
იმის ნაფრენის გრიალი.

შემორბის არჩვი დამთხვარი,
მორბის და უსტვენს თანაო,
ნადირის „ვას“ მელიამ
თაეის ხმა დაატანაო:

— ლომთან წამოდი სადილად,
შენც გეშინიან განაო?

— როდის იფიქრე, მელიაე,
სიზმარში მოგეზმანაო?

ამ პასუხს აძლევს არჩვიცა,
ტყისაკენ გაექანაო.

მელა იცინის ჩუმ-ჩუმად:

რა კარგი მოვიგონეო,
თუ არ დამთანხმდენ, ხომ მაინც
დავაფთხე, დავაღონეო.

IV

მოგროვდა ნადირთა გუნდი
თაე-მომწონედ სდგას მელია.
წინ გამოუძღვა მხეცებსა,
თან კვერთხი დაუბჯენია.
წინ მოდის მელა ამაყად,
ვით უძლეველი სარდალი

თავი ნამდვილად ჰგონია
 ლომისა ჩამონათალი.
 მხეცთ ლომს სალამი მიართვეს,
 მეფეს ულოკენ ტოტებსა;
 მეტისა სიხარულისგან
 ცრემლიც კი მოსდის ზოგებსა.
 მიიპატიჟა სუფრაზე
 ლომმა მხეცები ყველაო;
 თვითონ დაბძანდა თავშია,
 გვერდით დაისვა მელაო.
 ამ პატივითა მეთავე
 ტარიელს დაეფერაო;
 თუმც ლომის სიახლოვითა
 გააცივ-გააცხელაო.
 მარჯენივ დათევბი დაისვა.
 დარბაისელნი არიან,
 მარცხნისას მგლები,—საჭმლისკენ
 კბილებს იღესენ ძალიან.
 ბოლოზე კალდონ-კატუნნი
 ჩამწკრივებულან გვარიან.
 გახშირდა მხეცთა ნადიმი,
 კბილების კაწა-კუწია;
 ძვალსაც აღარა სტოვებენ,
 გაუსდით კნაწა-კნუწია.
 საზარი ხმაურობაა,
 ფშვინვა და ლაწა-ლუწია.
 ლომმა სთქვა: ტოლუმბაშადა
 ამირჩევია მელია.
 ვაი მას, თუ რამ დამალა,
 სწორი არ გაუმხელია...

მელა წამოდგა ფეხზედა,
ხელში აღიპყრო ყანწია,
დაიწყო სიტყვა მელური,
ლომი ზეცამდე ასწია.

ბოლოს სთქვა, ჩვენო ბატონო,
მხეცებს გვიყვარხართ იმითა,
რომ შენს სიძულილს ვერ ვბედავთ
შენის კბილ-კლანჭის შიშითა.

ბოლოს თვალები მიაპყრო
იმ ორასის წლის დათუნას,
თავი რომ დაჰსივებია
ბანჯღღელიანს, ლაშებ-ჰყლაპუნას.

მეორედ შენ გადღეგძელოს,
ჩვენო მხცოვანო ბიძია,
შენც ბლომად ცოდვა გიქმნია,
ამას არ უნდა ფიცია;
ბლომად შესჭამე შენაცა
ცხვარი, ძროხა და კვიცია.

დაგსივებია ცხვირ-პირი,
ხმაც მიტომ დაგიხრიწია.
არ გენაღვლევა ათასი,
საქმე რო ჰქმენი ბილწია...

თქვენც გადღეგძელოსთ, მგლის ლეკვო,
ცხვირი რომ აგიჭერიათ;
თქვენც რა თქმა გინდათ, მრავალი
ბატკანი დაგიჭერიათ.

საამურია, როცა თქვენ
გორებზე მოჰრთავთ ყმუილსა;
სიმშლილი მუხლსა ვერ მოგკვეთსთ,
ვერც გათქმევენებსთ ტყუილსა.

თქვენც გაგიმარჯოსთ, კატუნო,
 და თქვენც კილდონო ერთადა;
 ბიძაშვილებო ლომისა,
 ცნობილნო იმის გვერდადა;
 მაგრამ, ვით ლომი, ნუ ჰფიქრობთ,
 თქვენაც გაგხადოთ ღმერთადა.

მეც მადღებდებოდა თქვენშია,
 უმცროსი ძმა ვარ თქვენიო.
 თქვენაც ხომ უწყით რომ საქმე
 ბევრი საგმირო ექმენიო.

ბევრს თავესა და ჩიტს ვადინე
 ზურგზე ბურტყლი და მტვერიო.
 ვიხსენებოდე ძმებშია,
 მეც მადღებდებოდა მელიო...
 ეს ყველა წმინდაც კეწყალობდეს
 ცილამ მხეცების მცველიო.

ლომმა გადუსო მელიას
 ძლიერი ტოტი თავზედა:
 ყოჩაღ, რომ არ შემარცხვინე,
 კარგად მოიქეც სმაზედა,
 მადლობელი ვარ, შიკრიკო,
 კარგის სიტყვების თქმაზედა.
 ამიერიდგან ჩემს შემდეგ
 შენ თავს დაადეგ მხეცებსა,
 სწურთნიდე მახვილი რჩევით
 მოუხეშავებს, ბეცებსა.

ეს სთქვა ლომმა და წამოდგა,
 ამით გათავდა მეჯლისი.
 ყველას გულს წყლულად დააჩნდა
 მხეცებთან ქცევა მეფისი:

მელიას გაზვიადება
 და დამცირება სხვებისი;
 შურის ძიებით იესება
 გული დათეთა და მგლებისი.
 ერთმა თვემ ჩამოიარა.
 მელა მიგოგავს ვეღზედა.
 ესწრაფვის დარბაზში მისეღას
 კოხტა ქოჩორა სერზედა.
 მიღის ვაჟკაცი ამაყად,
 ლიღინებს „თარუნანოსა“.
 შეესმა მგლების ლავ-ლუვი
 იქვე ტყის პირად ახლოსა.
 მგლებს ერთი ძროხა მოედოთ
 ჰგლეჯდენ და სწეწდენ ბეჩავსა,
 უყურეთ, მელას რომ ამ დროს
 მგლებთან მისეღასა ჰბედავსა.
 გადუხნდა მგლებსა შუბლ-შეკვრით
 და შეუჭყიელა მამაცად:
 „ვინ მოგცათ ნება, მოიქცეთ
 ეგრე ბრიყვად და კაპასად?!...
 მე თქვენ გიჩვენებთ სეირსა.
 აბა, პატა ხანს დამაცათ!
 აღარ გახსოვართ, ვინა ვარ
 ლომის მარჯვენით მჯდომარე;
 იმის ბრძანებით თქვენზედა
 ყველასა თავსა მდგომარე?!
 მე თქვენ გიბრძანებთ სასტიკად
 ხელი გაუშვათ ძროხასა,
 თორემ გაგაძრობთ ყველასა
 ტყავებთან ერთად ჩოხასა.
 —ჰაი, შე წუტო,—სთქვა მგელმა,
 შე, ქეციანო შენაო,


ლომისა ქებით გაჰლომდი
 და დაგიგძელდა ენაო?
 ლომთან მარჯვენით ჯდომითა
 ლომის ისწავლე კბენაო!
 ათასი გაქონ, ის დაჰრჩი
 ისევ ის წუტი მელაო...
 ერთს შეუთვალეს თავის წევრს:
 აბა, ეძგერე, მგელაო
 ერთბაშად ნუკი წაარჩობ,
 გაწკიპე ნელა-ნელაო.
 შენაც ეყოფი ბეჩაესა,
 ჩვენი რად გინდა შეველაო?!
 ჩვენც გადაუხდით მაგიერს,
 რაც გვაგონდება წყენაო.
 თითო ტოტს ჩვენაც უთაქებთ,
 თუ კი ექნება თმენაო.
 ამ ბრძანებაზე მგლის ლეკვი
 სწრაფად ეძგერა ვეზირსა;
 გაჰკრა კბილი და გაჭიმა,
 წამოაქცია ხის ძირსა
 ხან ტოტსა სცემდა თავშია,
 ხან უჭირებდა ბასრ კბილსა.
 მელა ევედრის ძირადან,
 სიტყვას ეტყოდა კელავ ტკბილსა;
 მაგრამ სადიყო შეწყალვა,
 სად იყო მელას დაზოგვა?!
 ახლა სხვა მგლები მიახტენ,
 ეს არ აკმარეს გაროზგვა.
 თითოჯერ სხვებმაც წაჰკბინეს,
 თითოც უთაქეს თავშია,
 ეტყოდენ: არ ჩაჰვარდები,
 ლომის ვეზირო, ჰკეაშიაც

დაბუბნებს მელი უწყალოდ,
 შემოახიეს ქათიბი;
 მელის ბეწვები გაშალეს,
 როგორც ბალახი ნათიბი.
 — ნუ მომკლავთ, თქვენი ჭირიმე,
 აღარას ვიტყვი უგზოსა;
 რაღა მკლავთ, არ შემიბრალებთ
 უამხანავოს, უძმოსა?!“
 მგლებს ევედრება მელია,
 თანა ტიროდა, ჭყიოდა,
 რა უქნა საწყალს ტანზედა,
 მრავალი წყლოული სტკიოდა.
 დასტოვეს მგლებმა უგონოდ
 მელი მიწაზე მდებარე.
 გაფუჭდა გმირი უეცრად,
 გაფუჭდა თავის მქებარე!..
 მობრუნდა მელა... თვალს ავლებს
 გარშემო არე-მარესა.
 წავიდა ტანდამტერეული
 თავის წასასვლელს მხარესა.
 მიდის ტყე-ტყე და მიათრევს,
 აქა-იქ აწყვეტს თეძოსა,
 შეუდგა თვალ-ცრემლიანი
 ერთს ჩადუნინს ფერდოსა.
 დაყუნტდა პატარას სერზე,
 მწარედ დაიწყო გოდება:
 „რას მარგებს მეტიჩარობა
 ღობე-ყორეთა მოდება.
 ძმობა ლომისა რას მარგებს
 უსულო-ჯანოს და უძლურსა,
 მგლებისა წურთნა არ ძალ-მიძს
 ამ უხეიროს, ბედ-კრულოსა?!“.

არ მეყოფოდა სახელად,
 რაც ლომმა მიძღვნა ქებაო?!
 ეხლა სახელის მაგივრად
 მხოლოდ სირცხვილი მრჩებაო!
 დახედეთ, როგორ გაებრიყვდი
 ჭკუით ნაქები გმირიო?!
 ახლა კი ლომის აყოლით
 ნამდვილად გაეხდი ვირიო.
 ლომმა რომ ისე შემაქო
 მე რად დამებნა გონება?
 ლომს რო ჰგონება-ძალი აქეს,
 მე რად ვინ დამემონება?!
 ასე სტიროდა სერზედა
 დაყუნტებული მელია,
 უდროვო სინანულისა
 ცრემლი ჩამოსდის ცხელია.
 მას ეს თავისი დაჩაგვრა
 არვისთვის გაუმხელია.
 აღთქმა სთქვა გულ-ამოსკენილმა:
 „აღარ გავიელი ლომთანა;
 იმისგანა მჭირს, რაცა მჭირს,
 შეერცხვი ძმებთან და ცოლთანა.
 ვიქნები, ის სჯობს, ჩემს ქერქში,
 თუნდ სულ უსაჭმო, მშიერი;
 ხეირს ვერ ჰნახავს ვერ როდის,
 სუსტს რომ ძმადა ჰყავს ძლიერი!
 სხვისა იმედით მცხოვრები,
 ბრიყვი იქნება, ტიალი.
 ხელიდან არ ჩამოერთმის
 ტანჯვა-წვალების ფიალი.
 გაეგო მელის ამბავი,
 ლომი სიცილით კვდებოდა,
 როცა მაძლარი ლეშითა
 სასეიროდა ღვებოდა.

მეფე და კათალიკოსი

(იგავი გაგონილი გურიაში გ. ნიკოლაიშვილისაგან
და ჩაწერილი აბ. წულადის მიერ.)



ყო ერთი ბრძენი მეფე, მას ყავდა ბრძენივე
კათალიკოსი. მეფეს უნდოდა, რომ სიბრძნეში
ცალი არ ყოლოდა, კათალიკოსი ტოლს არ
უღებდა. იფიქრა, მეფემ, მოდი ერთი სამს კი-
თხვას მიეცემ და თუ ვერ ახსნა, თავს მოესჭრიო.

ამ განზრახვით დაიბარა კათალიკოსი და მისცა შემდეგი კითხვები:

1) რამდენად ვლირვარ მეო? 2) ცაში რამდენი ვარსკვლავია
და 3) რას ვფიქრობ, მე ახლოა? თან სამი დღე ვადა დაუდვა. თუ
არ გამოვიცენია, თავს მოგჭრიო. დალონდა კათალიკოსი; არც სვამდა
და არც სჭამდა. ხშირად შედიოდა მასთან მისი ერთ გული მზარე-
ული და ეკითხებოდა: ბატონო, რას ინებებთო; მაგრამ კათალიკოსი
პასუხს არ აძლევდა. ბოლოს მზარეულმა ვედარ მოითმინა და უთხრა.

— მიბძანე, ბატონო, რა გიჭირს, მეც კაცი ვარ, იქნება წაგა-
დგეო.

გაიხსენა კათალიკოსმა, რომ პატარა და უძლურ თავუნასაც
შეუძლია სარგებლობის მოტანა ძრიელი ლომისთვის და უთხრა,
ასე და ასეა ჩემი საქმეო. მზარეულმა მოახსენა.

— მომეცი ერთი თუმანი და მე დაგიხსნიო.

— ათი მიირთვიო—უთხრა კათალიკოსმა, ოღონდ მიშველე
რამეო.

ხრა: გამოართვა მზარეულმა ფულები, გასწია დალაქთან და უთ-

— სამაგალითოდ დაგაჯილდოებ, ოღონდ ისეთი წვერულეა-ში და თმა გამიკეთე, როგორც კათალიკოსს აქესო.

— კარგო, დასთანხმდა დალაქი და გაუკეთა სახე ისეთ ნაირად, რომ ყველას ნამდვილი კათალიკოსი ეგონებოდა.

აღნიშნულ დღეს მზარეული მოირთო კათალიკოზურად, დაიჭირა ხელში კვერთხი და წავიდა ხემწიფესთან. მოახსენეს მეფეს, კათალიკოსი მოვიდაო.

— მოვიდა, მაგრამ ვეღარ წავაგო, სთქვა თავის გულში მეფემ და უბრძანა შემოეყვანათ. წარსდგა მეფის წინაშე ცრუ კათალიკოსი:

მეფემ უბრძანა, აბა პირველ კითხვაზედ რას მეტყვი, რამდენად ეღირვარ მეო.

— თუთხმეტ ვერცხლათაო.

— როგორ, ნუ თუ შენს მეფეს მეტად არ აფასებო?..

— იესო ქრისტე, ქვეყნის მაცხოვარი ოცდა ათად გაყიდესო, იოსები ებრაელების გამოამხსნელი—17 და შენ ორივე მაგათზედ ნაკლები ხარო, მიუგო მზარეულმა.

— ცაში რამდენი ვარსკვლავი არისო?

— ათი მილიონი გახლავსო!

— რატომ, მეტი იქნებაო?

— დაათვლეინე და, თუ მეტი იქნება, თავი მომჭერიო.

— რას ფიქრობ მე ახლაო? ჰკითხა შეფიქრიანებულმა მეფემ მესამედ.

-- შენ ფიქრობ ახლა, რომ შენს წინ სდგას კათალიკოსი და კითხვებს გიხსნის, მაგრამ ეს ასე არ არის: მე გახლავარ მისი. მზარეული.

გადიძრო კათალიკოსის ტანისამოსი და მაშინ მეფემაც იცნო, ის იყო ნამდვილი მზარეული და არა კათალიკოსი.

დაიწერა პირჯვარი, ღმერთს მადლობა შესწირა და სთქვა: შური გულსა კაცისასა დააბნელებსო, მეც ისე დამემართაო.

აღვა და კათალიკოს-მზარეული ორივენი დაასაჩუქრა.



მონადირე

მონადირე

(ხალხური ლექსი, კახეთში ჩაწერილი გრ. აფშინაშვილისა)



ი, სესია, სესია,
შენ წამიყვანე ტყეშია!
შენ მანდეთ გორას შემოჰყე,
მე აქ დამაგდე, სერშია.
წინადან გადმომიბინა—

კუდა იყო და მრეშია.
დაუხოქე და ვესროლე
მარჯვენა ბეჭის ფრთეშია.
გადუხტი, ქეხო დავტაცე,
ხელი ამოვდე ყბებშია.
ერთი იმანაც მისართა
ამ სისქის ბარძაყებშია.
წამალიც მანვე მასწავლა:
მიწა გალესე რძეშია!.
ორი გორა გადვიარე,
ერთი არ დამიხვნეშია;
მესამეზე რომ შევდექი,
სული მომადგა ყელშია.
მიველ და დედას უთხარი:
ტუდსა ჩავეარდი დღეშია!
— შეილო, დედამ რა გიშველოს,
მონადირისა წესია.



ბენიამინ ფრანკლინი

(დასასრული *)

ფრანკლინი, რეგორჯ სამშობლას მოღვაწე



რანკლინი გადასცილდა სამოც წელს, მაგრამ მაინც დაუ-
 ლალავად შრომობდა თავის ქვეყნისთვის. ხალხიც აფასებ-
 და იმას, ხან თავიანთ მსაჯულად ამოირჩევდა, ხან ქა-
 ლაქის გამგეობაში უფროსად ნიშნავდა და უფრო ხში-
 რად ინგლისში გზავნიდა, რადგანაც ესენი იყვენ ინგლისელები
 ხელ ქვეითნი, და მუდამ ბევრი მოსარიგებელი საქმეები ჰქონდათ
 ერთმანეთშორის.

ფრანკლინის სიტყვას ინგლისში დიდად აფასებდენ და კიდევ უფ-
 რო მეტად პატივსა სცემდენ იმის ცოდნას. ყველგან თავიანთ სამე-
 ცნიერო საზოგადოებებში საპატიო წევრებად ირჩევდენ.

ფრანკლინი დიდ ყურადღებას აძლევდა ხალხის განათლებას.
 ამერიკის სკოლებში მაშინ კარგად არ მიდიოდა სწავლა და შეძლე-
 ბასაც მოკლებულნი იყვენ. იმან ფილადელფიაში გახსნა სამაგალი-
 თო სკოლა და დიდ ძალი ფული მოაგროვა სკოლების გასაუმჯო-
 ბესებლად; იმისივე დაწყობილებით გაიმართა სხვა-და-სხვა ქალაქე-
 ბში სამკურნალო და საწყობებისთვის თავ-შესაფარი.

დრო იყო, რომ ფრანკლინს უნდა დაესვენა, იმას თავის სიცო-
 ცხლეში საკმაოდ ემუშავნა. მაგრამ სწორედ იმ დროს ამის სამშო-
 ბლო ქვეყანას—ამერიკას—ბედმა გაუღიმა, იმედი მიეცა, თავი ეხსნა ინ-
 გლისელების ბატონობისაგან და ცალკე სახელმწიფო დაეარსებინათ.
 მოხუცი აღტაცებით მიეცა ამ საქმეს და თავის რჩევით და მოქმედებით
 მხარში ამოუდგა იმ დროინდელ ამერიკის მამული შვილს ვაშინგტონს.

*) იხილე ჯეჯილის მე-3 №-რი 1892 წლისა

ბენიამინ ფრანკლინი

მდიდარ და ღონიერ ინგლისელებთან ბრძოლა, მართალია, ადვილი არ იყო, მაგრამ ამერიკელებს გათავისუფლების სურვილი ისეთი აღეძრათ, რომ სამოც და ათი წლის მოხუცმა იკისრა ინგლისში გამგზავრება და მათთან მოლაპარაკება. ინგლისელებმა პირობა არა მისცეს-რა, არაფერი დაუთმეს, მოხუცებულმა ვერა გაარიგა რა და ისევ უკან დაბრუნდა.

ასტყდა ომი. ამერიკელები ინგლისელებთან მარტო რას გააწყობდნენ, თუ სხვა მექომავე არ გაუჩნდებოდათ.

სამშობლოს სიყვარულმა ერთხელ კიდევ გამგზავრა ღრმა მოხუცებული ევროპაში. იგი წავიდა საფრანგეთში სათხოვნელად, რომ ამერიკელებს ჯარი მოაშველონ.

თუმცა ფრანკლინს დიდი გავლენე ჰქონდა საფრანგეთში, როგორც მეცნიერს და ჭკვიანს კაცს, მაგრამ აგრე ადვილი არ იყო იმათგან პასუხის მიღება და ინგლისელების გადამტერება.

მაშინ საფრანგეთის მეფის სასახლეში დიდი თვალსაჩინო სიმდიდრე ტრიალებდა; როდესაც მეფის კარზედ გამოჩნდა უბრალო, შავი მაულის ტანისამოსით, გრძელი თეთრი თმიანი მოხუცებული, დაბჯენილი კომბალზედ და სთხოვდა შველას ერთი მუჭა ხალხის გულისთვის, რომელიც იბრძოდა თავისუფლებისთვის, ყველა სასახლის კაცებმა ოქრომკედში და ბუზმენტში მორთულებმა ერთ ხმად თანავრძნობა გამოუცხადეს.

ხალხიც აღტაცებაში იყო ამერიკელების მამაცობით და ბევრნი ნება ყოფლობით მიდიოდნენ საომრად. მაგრამ მათი სახემწიფო კი არაფერს ჰპირდებოდა, არ ეშურებოდა პასუხის მიცემას.

თითქმის წელიწადმა გაიარა. ფრანკლინს დიდხას მოუნდა ლოდინი. ამისთანა სამშობლოს მოყვარე მოხუცებულისთვის მეტად ძნელი იყო უსაქმოდ ყოფნა, შორს თავის სამშობლოსაგან, მეტადრე ახლა, როდესაც იქიდან უნუტეშო ამბები ისმოდა. ყოველი წუთი ამას კაცის სისხლად უღირდა.

ბოლოს საქმე კეთილად დაბოლოვდა, ფრანკლინის მეცადინეობამ ფუჭად არ ჩაიარა. საფრანგეთმა ამერიკა ცალკე სახელმწიფოდ იცნა და ინგლისელების წინააღმდეგ გემები გაგზავნა ამერიკელების საშველად.

ინგლისელებმა ორივე მხრით ომს ვერ გაუძლეს და ამერიკა სრულიად განთავისუფლდა.

ფრანკლინის დაბრუნება სამშობლოში და მისი სიკვდილი

სადღესასწაულოდ იყო მორთული ქალაქი ფილადელფია, ენკენისთვის ერთ დღიას 1785 წელსა ათასობით გაჰქონდა სხვა-და-სხვა ფერ ბაირალებს ფრიალი, ზარბაზნების სროლა და ეკკლესიების ზარის რეკა აყრუებდა ყველას. ქუჩებში აუარებელი ხალხი ტრიალებდა. ამ დღეს ელოდნენ მამულის განმათავისუფლებელს.

ღრმათ მოხუცებული ჯერ კიდევ დაღალული გზისაგან, აღერსით ყველას ხელს აძლევდა, ღიმილით ელაპარაკებოდა. რვა წლის უნახავს თავის ქვეყნისას და თავის მეგობრისას სინარულის ცრემლები მოსდიოდა თვალებზედ. მეომარნი უჩვენებდნენ თავიანთ ჭრილობას, რომელნიც მიეღოთ მამულის დაცვის დროს.

ფრანკლინმა რომ დაინახა თავისი განთავისუფლებული ქვეყნის ბედნიერება და მხიარულობა, დაავიწყდა მოხუცებულობაც, უძლურებაც და ოთხმოცის წლისამ იკისრა ერთი კიდევ გაუწიოს სამსახური სამშობლოს და ქალაქ პენსილვანიაში იყო ამორჩეული უფროსად. ამ სამსახურში დაჰყო სამი წელიწადი, და ამავე დროს არცერთი საზოგადო საქმე არ გაკეთებულა, რომ ის არ ყოფილიყოს გარეული. თვით სიკვდილის წინა დღეებში სწერდა მონების გაყიდვის წინააღმდეგ.

ფრანკლინი ოთხმოცდა ხუთი წლისა გადაიცვალა. სიკვდილის წინად დიდი ტანჯვა გამოიარა, მაგრამ სამაგალითო მოთმინებით იტანდა ყველაფერს და სიკვდილის დროს წამოიძახა.

— საქმარისია რაც ეიცოცხლე, აქ ენახე ყველაფერი, ახლა იქ უნდა ენახო, რაღა ამბავია.

ამ კეთილის მოყვარე კაცმა დიდი ფული დასტოვა სასაწყლოდ. თავისი კომბალი უთავაზა ვაშინგტონს შემდეგი სიტყვებით:

— ეს რომ სკვიპტრა იყოს, იმისიც ღირსი ხარო.

გამოჩენილი კაცის სიკვდილი სწრაფად მოედო მთელ ქვეყანას, ყველა სწუხდა, ყველა გლოვდა და ყველასთვის დაუეწიყარი დარჩა მისი სახელი.

ვეფხისტყაოსანი

ნამბობი მოზრდილი ყმაწვილებისთვის *)

ტარიელისა და ავთანდილის ქებაში მისვლას და ასმათის ნახვას.




ეთანდილი ტარიელს ამხნევებდა და იმედს აძლევდა. ამასობაში ქებას მიუახლოვდნენ. გახარებული ასმათი, გარეთ გამოიჭრა, ტარიელს მოეხვია, აკოცა და ღმერთს მადლობა შესწირა. მერე ყველანი ქებაში შევიდნენ და ასმათმა ვეფხისტყაოსანი დაუგო მათ. ვაჟები დასხდნენ და კვლავ გამართეს საუბარი, შეწვა ქალმა წვადი და მიართვა, მაგრამ ღონე მიხდილ ტარიელს ჭამის თავი აღარა ჰქონდა. ღამე ერთად გაათიეს, არჩიეს და ისაუბრეს. ტარიელი ავთანდილს მადლობას ეუბნებოდა, რადგან მისთვის ამოდენი ჯაფა და სიკეთე არ დაიშურა. თანაც ეხვეწებოდა, „აწ წადი, შენ მიჯნურთან დაბრუნდი“.

ავთანდილმა უარი უთხრა და პირ-იქით ემუდარა, გამხნევი და თავსა შენსა ნურას აენებ. ერთი წელი მომითმინეო. უთხრბა: წავალ, ვეძებ შენსა მხესაო და, თუ ცოცხალი არ დაებრუნდი, რაც გნებაედეგ, ისა ჰქმენო. ტარიელიც დათანხმდა და პირობა მისცა. დილით აღგენ ორივე ვაჟები, ასმათს გამოეთხოვენ და წავიდნენ. მთელი დღე იარეს და ზღვის პირს მივიდნენ. ღამე ერთად დაჰყვეს. ტარიელმა ასწავლა ავთანდილს ფრიდონისას მიმავალი გზა და შეეხვეწა, ჩემი ტანჯვა უამბეო, დილით მოეხვიენ ერთმანეთს ტირილითა და კოცნით გამოცხადმენ და გაშორდნენ. საბრალო ტარიელი დარჩა მარტო დაღონებული, მიმავალ ვაჟს თვალს ვერ აშორებდა და დიდს ხანს უტკეპრდა.

ავთანდილსაც გზაზე კვლავ მოაგონდა თინათინი, გამზრდელი მეფე და გული ნადვლით ავესო. ცას შესჩიოდა, ეუბნებოდა: „მე ნუ გამყრი საყვარელსა, ნუ შემეცვლი ღამედ დღესაო.“ ამ გვარად

*) იხილე „ჯეჯილი“-ს მე-III №-რი 1892 წლისა.

მიდიოდა საბრალო ვაჟი და მრავალ ნაირ გულის გასაგმირალ
ლექსებს იმღეროდა.



სამოც და ათი დღე იარა. ბოლოს ერთ ზღვის პირას მივიდა. იქ მენავეები ნახა და მათი ვინაობა გამოკითხა. მენავეთა მოახსენეს, აქამდის თურქთა საზღვარი არისო. აქ-კი ჩვენი პატრონის, ფრიდონ მეფის ქვეყანა იწყებაო. აეთანდილმა უბრძანა მათ, მე თქვენ მეფესთან მივდივარ და გზა მასწავლეთო. მათ ბრძანება აღუსრულეს და

ვეფხისტყაოსანი

გზა დაულოცეს. ვაჟი წავიდა. გზაზე ვინც-კი შეხვდა აეთანდილს, ყველას უკვირდათ მისი მშვენიერება და თვალს ვერ აშორებდნენ.

მულღაზანზარის ქალაქს რომ მიახლოვდა, სადაც ფრიდონი ცხოვრებდა, დიდი მინდორი ნახა. ლაშქარს ველზე ალყა შემოეკრა და ნადირობა გაემართა. აეთანდილსა მოახსენეს, ფრიდონ მეფე ნადირობსო. მას იამა და პირ-და-პირ ლაშქრისაკენ გასწია. აქ ერთბაშად ჰაერში ორბი გამოჩნდა. აეთანდილმა ცხენიდან ისარი სტყორცნა და ორბი ძირს ჩამოაგდო. ვაჟი საჩქაროდ გადმოხტა, ორბს ფრთები დასჭრა და კვლავ წყნარად ცხენზე შებრძანდა. ჯარმა რომ ეს დაინახა, გაუკვირდა, ალყას თავი დაანება და გარს აეთანდილს შემოერტყა. მას ყველანი შურითა და გაკვირვებით უყურებდნენ.

ფრიდონ მეფე ამ დროს ორმოცი დარჩეული კაცით ქედზე იყო და იქ ნადირს მოელოდა. ალყის დაშლა გაუკვირდა. კაცი აფრინა საჩქაროდ, ლაშქარს ჰკითხე, რა მოხდაო. აეთანდილმა შეუთვალა, ნუ გასწყურები, დიდო მეფე! მე მოვსულვარ თქვენთან სტუმრად, ტარიელის მეგობარიო. ფრიდონს რომ ტარიელის სახელი ესმა, ძრიელ იამა, ქელიდამ ჩამოიჭრა და აეთანდილს მიეგება. აეთანდილმა თაყვანი სცა და სალამი მოახსენა. ფრიდონ მეფე მოეხვია, და უცხო ვაჟი გადაკოცნა. ერთმანეთის შეენებამ ორივენი გააკვირვა. მეფემ ბრძანა, შინ წავიდეთ. ნადირობა დაიშალა. გზაზე აეთანდილმა უამბო მეფეს თავისი ვინაობა, ვეფხისტყაოსნის ნახვა როსტყევან მეფისაგან მისი ძებნა, ქებაში შეყრა და დაძმობილება. ბოლოს მოახსენა, ტარიელმა თქვენი სიკეთე მიამბოვო და მეც მოვედი, რომ მიხეენოთ, სადაც ჰპოვეთ მისი მზეო. ფრიდონი ძრიელ შესწუხდა, ტარიელის გაწვალება რომ გაიგო. იგონებდა მასთან ყოფნას, იბრალედა და ცრემლს ღვრიდა.

ეთანდილი ძრიელ გააკვირა იმ წეს-წყობილებამ, რომელიც ფრიდონის სასახლეში და მის სამეფოში ნახა. ფრიდონმა დიდი ამბითა და პატივით მიიღო უცხო სტუმარი, ნადიმი გაუმართა და ბევრი ძვირფასი საჩუქრები მიართვა. აეთანდილი იქ რამდენიმე დღე დარჩა; ფრიდონთან ნადირობდა და ყველას აკვირებდა სიმაძღვრით

და მშვილდ-ისრობით. მერე წასვლა მონდომა. ფრიდონს სთხოვა, ზღვის პირს წამყევ და მიჩვენე ის ადგილი, სადაც ნახეთ ორი ზანგი და კიდობნით ტურფა ქალიო.

ფრიდონს თუმცა არა ჰსურდა ავთანდილის გაშვება, მაგრამ უარი ვეღარ უთხრა და გაჰყვა; ერთი მშვენიერი შეკაზმული ტაჭი და სრული აბჯარი მიართვა; ოთხი გამოცდილი მონა აახლო, ჯორზე საგებელი აუკიდა და გაისტუმრა. თვითონაც ზღვის პირამდის გააცილა, უჩვენა ის ადგილი, სადაც ერთხელ ნესტან-დარეჯანი ნახა და გარემოებაც უამბო. ბოლოს მოეხვია და გამოეთხოვა.

ავთანდილის წასვლა ნესტან—დარეჯანის საქმედად.

ავთანდილმა ასი დღე იარა. გზაზე ხან თავისი მიჯნური აგონდებოდა და ხან ტარიელი, შავი ფიქრები გულს უწყულულებდენ. სადაც კი ზღვით მომავალი მეზავრი ნახა, ყველას ნესტან-დარეჯანის ამბავს ჰკითგავდა ხოლმე, მაგრამ ვერაშიეცყო-რა. ბოლოს ზღვის პირად ქარაენი ნახა. მოქარაენები დაღონებული იდგენ, ვერც ზღვაში შესვლას ჰბედავდენ და უკან დაბრუნებაც ეძნელებოდათ. ავთანდილმა სალამი უბოძა და ვინაობა გამოკითხა. ქარაენის პატრონმა. უსამ მოახსენა, ბაღდადელი ვაჭრები ვართო; ზღვათა მეფის ქალაქს მივალთო. მაგრამ მეკობრეების გვეშინია და ზღვაში შესვლა ვერ გავებდეთო. ავთანდილმა აიმედა ვაჭრები, გაამხნევა და უთხრა: „მე ვიცი და მეკობრეებმაო, წამომყევით, ზღვაში შევითო“. ვაჭრებს გაცხარდათ, თაყვანი სცეს, ქება უთხრეს და წავიდნენ. როგორც კი ცოტა გაიარეს, მეკობრეების ნავი გამოჩნდა მაღალი ღროშით. ნავს ძელზე სახნისი ეგო. მათ მორთეს კივილი და ვაჭრებისკენ გამოსწიეს. ჯაბანი ვაჭრები შეშინდნენ, ავთანდილმა უბრძანა მათ, თქვენ ნაევებში დაიმაღეთო. თვითონ მსწრაფლ აბჯარი გადიცვა, რკინის კეტი აიღო მამაცურად და თავში დადგა. მეკობრეები კივილით მოუხდნენ და ნავს სახნისი უძგერეს. მაგრამ ავთანდილმა დაასწრო, კეტი

ჰკრა და ძელი მოსტეხა. მტრებმა გაქცევა დააპირეს. აეთანდილი ნავეში გადუხტათ და მუსრი გაადინა. ვინც რომ ცოცხალი გადურჩა, ეხვეწებოდნენ, ღმერთი იწამე, ნუ დაგვხოც, ყველა მანდ ვიხლოებითო. მეკობრები რომ დახოცა, მათ საუნჯეს დაეპატრონა. ვაჭრებმა იზრიალეს, ამოვიდნენ და აეთანდილს თაყვანი სცეს. გადუკოცნეს მას ხელ-ფეხი, სათითაოდ ქება უთხრეს. მერმე მეკობრების ნავეები დასცალეს, რაც რომ ჰპოვეს, გადმოიღეს და თვით ნავეები კი დაწვეს.

ქარაენის უფროსმა აეთანდილს უმდაბლესად მოახსენა: „ყოველიფერი, რაც კი რამ გვაქეს, თქვენი იყოს, რადგან სიკვდილს გადაგვარჩინეო“. აეთანდილმა უარი უთხრა, მხოლოდ სთხოვა, მე მსურს ჩემი ვინაობის დაფარვა. თქვენც სთქვიით, ვითომ, ვაჭარი ვარ, მიუმფროსეთ, მიბატონეთო, ვაჭრებს ძლიერ გაუხარდათ, ადგენ, ყველამ თაყვანი სცეს. აეთანდილ, მართლაც, ვაჭრულად გამოეწყო და წავიდნენ, კარგი დარი დაუდგათ, იარეს ზღვის პირს მიადგენ. ზღვას გაღმა ქალაქი იყო და ბაღები მშვენიერი. ვაჭრებმა ნავეი დააბეს და საეაჭრო გამოაზიდეს. ეაჭმა ჯუბანი ჩაიცვა და დაბრუნდა, ვით უფროსი.

ამბავი აეთანდილისა და ფატმანის განცობისა და დამეგობრებისა.

როცა აეთანდილი და ვაჭრები ბაღის პირად დაბინავდნენ, იმ დროს იქაური მებაღე მოვიდა და მათ ცქერა დაუწყო: აეთანდილმა მას ესაუბრა და ამბავი ჰკითხა. მებაღემ მოახსენა, ეგ ქვეყანა ზღვათა მეფის სამეფო არისო. თვით ამ ქალაქს გულანშაროს უწოდებენო. ზღვით მოაქეს ყოველი მხრიდან ძვირფასი საქონელიო. მეფედ ზის მელიქ სურხავი, საესე ყოველი დიდებითაო. მკვიდრი ხალხია პურადი, მოქეიფე, მხიარულიო. ზამთარ და ზაფხულ სწორად გვაქეს ყვაილი ფერად-ფერადიო. ვინც კი მოდიან, გვიცნობენ; ჩვენ შეგვენატრიან ყველანიო. მე ვარ უსენის მებაღე, ვაჭრების უფროსისაო.

ვინც აქ მოდის სავაჭროდ, უსათუოდ ბატონს ნახავსო. ძღვენსა უძღენის, მოიკითხავს, სავაჭროსაც მას უჩვენებსო. უსენი ამოარჩევს სამეფოდ, რაც კარგიაო. ფულს დაუთელის ბაჯაღლო ოქროს და ნებას დართავს ვაჭრობისასო. ახლა უსენი შინ არ არის, მის მაგიერათ ქალაქს ქალბატონი განაგებსო. მისი ცოლი ფატმან-ხათუნ პურადია მეტის-მეტიო. წავალ, ვეტყვი, რომ მობრძანდით, მიგიწვევთ და პატივსა გცემთო, მოახსენა მეზღვემ აეთანდილს. აეთანდილმა უბრძანა, აგრე ჰქენიო. მეზღვე განარებული გაიქცა და ახარა ქალბატონს მდიდარი და მშვენიერი ვაჭრის მოსვლა. ფატმანს ძლიერ გაეხარდა. ათი მონა გაუგზავნა, დაჰპატიჟა, მიიწვია. თვით მისს ვაჭრებს ქარვასლაში საკუთარი ბინა მისცა. აეთანდილი რომ მივიდა, ფატმანი წინ მოეგება. ერთმანეთი მოიკითხეს, შევიდენ და შინა დასხდენ. ფატმანს ეჭი მოეწონა, არ გაუშვა, უმასპინძლა. აეთანდილმაც ფატმანს უძღენა ძვირფასი საჩუქრები.

მეორე დღეს საქონელი ფატმანმა გაახსენებინა. მან სასეფოდ აირჩია ყველა, რაც რომ მოეწონა. ვაჭრებს ფასი დაუთვალა და ვაჭრობის ნებაც დართო. აეთანდილმა ვაჭრებს უთხრა, აწ ივაჭრეთ, როგორც გინდათო. მხოლოდ არ გამცეთო.

ეჭი ყოველ დღეს ვაჭრულად იცვამდა, იმოსებოდა. ფატმანისას ხშირად სტუმრად მიდიოდა, ნადიმობდა.

ერთს საღამოს ფატმანმა წიკნი მისწერა აეთანდილს და მიიწვია. აეთანდილიც ადგა და წავიდა. მაგრამ გზაზე კაცი მოეგება და მოახსენა, შინ დაბრუნდი, ნუ მოხვალო, აეთანდილმა ითაკილა, ეწყინა და არ დაბრუნდა. რომ მივიდა, ქალი დახედა მოწყენილი, რალაც შიში აწუხებდა.

საუბარი რომ დაიწყეს, ვილაც უცხო შემოვიდა. კეკლუცად იყო ჩაცმული, ხმლითა მონა მოჰყვებოდა. ქალთან ნახა აეთანდილი, გაუკვირდა, ეუცხოვა. ფატმანი შეკრთა, შეშინდა და სრულიად აკანკალდა.

გარისხებულმა ეჭი-კაცმა ასმათს აგრე დაექადა: თუ „გამითენდა, განანებ მაგა ყმისა სტუმრობასაო. სიცოცხლესა ვაგვიწარებ,



ვეფხისტყაოსანი

შვილებს შენი კბილით შევაჭმევო. თუ არ გიყო, რაც რომ გითხარ, მოდი, წვერზე მომაფურთხეო“, უთხრა. ესა სთქვა გატრიალდა, წვერზე ხელი მოიკიდა. შეშინებულმა ფატმანმა თავში ხელი წაიშინა. ცხელი ცრემლი გადმოყარა და მოთქმა მორთო საშინელი. „დამქოლეთ მოდით, ქეთაო, უბედურმა ეს რა ვქენი! ქმარი მოგვალ, უღალატე, წვრილი შვილიც ამოგწყვიტეო“.

ავთანდილი გაკვირვებით ისმენდა ყველაფერს. მერმე ქალს უთხრა, დადუმდი და სთქვი, ვინ იყო ის კაციო? ან რად მოვიდა, რა უყავ, რისთვის გექადოდა შენაო? ფატმანი ეუბნებოდა, დამეხსენი, ნურას მკითხავ, ვერ მიშველი ვერასფრითაო.—ენამ მიყო, რაცა მიყო, რად გავანდე დაფარულიო? მერმე ავთანდილს შეეხვეწა. „წადი მოჰკალ ამაღამე იგი კაციო. თორემ წავა, მეფეს ეტყვის საიდუმლოს, ჩემგან თქმულსაო. მეფე მომკლავს ლალატისთვის და დამიხოცს წვრილთა შვილთაო“. ავთანდილ ადგა, ლახტი აიღო, წინა-მძლოლი მოითხოვა და წავიდა. ფატმანმა მონა აახლო და შეეხვეწა, თუ მოკლა, ჩემი ბეჭედი წააძერე, მომიტანეო. მონა წაუძლდა ავთანდილს, ჩუმად ზღვის პირს მიიყვანა. იქ იმ კაცის, ჩაშნაგირის, სასახლე იდგა, ტურფად აგებული. ხმა დაბლად უთხრა ავთანდილს: „ეგ არის მისი სადგომიო“—და საწოლი ადგილიც აჩვენა. კარებთან ავთანდილს ორი დარაჯი დახედა, მაგრამ მინამ ხმის ამოღებას მოახსრებდენ, სტაცა ორივეს ხელი, თავი თავს შეუტაკა და სული გააცხებია. ჩაშნაგირი მარტო იწვა სევდიანი. ავთანდილმა მოაელო საბრალოს ხელი და ისიც მოკლა. ბეჭედი წააძრო, და წამოვიდა. ფატმანთან რომ მივიდა ბეჭედი მისცა და უთხრა, ფიქრი ნუ გაქვს, შენი მტერი ხვალე მხესა ველარ ნახავსო. ფატმანმა ძრიელ დაუმაღლა.

შემდეგ, როცა დასხდენ და ისაუბრეს, ავთანდილმა სთხოვა ფატმანს: „აწ შენც მითხარ, რად შიშობდი, რას გექადდა ჩაშნაგირიო? მსურს გავიგო ყველაფერი, თუ ხათრი გაქვს, მიამბეო“. ფატმანმა მოახსენა, რა კი სიკვდილს გადმარჩინე, მეც ყველაფერს გავიცხადებო და დაიწყო.

ნესტან-დარეჯანის ამბის მბოზა ფატმანისაგან.

„ამ ქალაქში ნაეროზობა ბედნიერ ღღედ მიაჩნიათო. ყველა უქმობს, იკაზმება, მხიარულობს, დროს ატარებსო, სასახლეში დარბაზობა და თან ღვინი იმართებაო. დიდებულნი სადარბაზოდ მივლენ, მეფეს ძღვენსა სძღვნიანო. ქმარიც ჩემი და ვაჭრები მეფეს ძღვენსა მიართმევენ. მეც წავესხამ ვაჭართ ცოლებს. დედოფალსა მიულოცაეთ. იქ ვღვინობთ და ვმხიარულობთ. ბედნიერი მოვალთ უინაო.“

„ნაეროზობის ღღე რომ დადგა, ვიახელით დედოფალსა. მიულოცეთ ძღვენით, ჩვენც აგვაგსო წყალობითა. ეიღვინეთ და ვითამაშეთ, შინ დავბრუნდით სტუმრებითა. ბაღსა შინა ტურფა კოშკი ზე ზღვაზე იყო გადადგმული. იქ სტუმრები წაიყვანე და ნადიმი გაუმართე. თანა გვახლდენ მომღერალნი, იტყოდნან ტკბილსა ხმასა. მე მეწია სევედა რამე და ერთბაშად ცუდათ გაეხდი. რა შემატყეს, ყველა ადგენ, ნადიმობა მოიშალა. მარტოდ დავრჩი სევედიანი, კაეშანი (მწუხარება) მომერია. კოშკის სარკმელი გავადე, ზღვისაკენ ვიციკირებოდი. თვალი მოგკარ, ზღვაში რაღაც მოცურავდა საკვირველი. გამიკვირდა, ვერ ვიცანი მხეცი იყო, თუ ფრინველი. მოახლოვდა, ზღვის პირს მოდგა, მაშინ ვიცან, იყო ნავი. ორი ზანგი, ქაჯთა მზგავსი, იმ ნავიდგან. გადმოვიდენ, გაიხედ-გამოიხედეს, ხომ ვერ გვხედავს ვერაინო. გადმოიღეს კიდობანი და გადმოსვეს ტურფა ქალი. შავი რიდი თავს ეფარა, მწვანით იყო შემოსილი. არე-მარეს სხივებს ჰფენდა, მზე მეგონა ამოსული. მე მოვიხმე ოთხი მონა და უბრძანე, ჩაუხტი მეთქი. შეევაჭრეთ, ფასი ნუ გშურთ, რაც ითხოვონ, მიეცით-მეთქი. თუ უარი სთქვან, დახოცენით და ქალი აქ მომგვარეთ. მათ ბრძანება აღასრულეს, ჩაუხტენ და შეევაჭრენ. ზანგები უარს ამბობდენ, გაგულისდენ, არ გაყიდეს. მე სარკმლიდგან

გადაეძახე: „არ დაინდოთ, დახოცენით“. იმათ ზანგებს თავი მოსჭრეს და ზღვაში გადაყარეს. მზისუნახავი მომგვარეს, მეტის-მეტად გამახარეს. მივეგებე, მოვეფერე, გვერდს მოვისვი, როგორც შვილი. მერმე ვკითხე: „ქალო, ვინ ხარ, ან იმ ქაჯებს რად-მიჰყავდი მეთქი.“

ტურფა სტიროდა, ცრემლს ღვრიდა, ერთი სიტყვაც არ მაღიროსა. მე მისი ცოდვით დავიწვი, არაფერი აღარ ვკითხე. ავდეგ შინა მოვიყვანე და არავის არ ვუჩვენე. ოთახი მოერთე სტაერთა (ფარჩით) და იქ ჩუმად დავაყენე. ერთი ზანგი დაფარულად მას ფარემად მიუჩინე. ხანდი-ხან შევიდიოდი, უვლიდი და ვამხნეებდი. მაგრამ ტირილს არ იშლიდა, ღლე და ღამე ცრემლებს ღვრიდა. ბევრჯერ ესცადე, ვემუდარე, მაგრამ ხმასა არ იღებდა, არც ქვეშაგებს ნდომულობდა, არც სახურავს იკარებდა. ჩაცმულს ეძინა ხანდის-ხან და სასთუმლად კლავი თავქვე ეღვა. ძლივს ვაჭმევი ცოტა საჭმელს სვეწნითა და ძალადობით. ასე მყავდა დამალული, ხორციელსა არ გავანდე. არც ქმარს უთხარ საიდუმლო, სასახლეში არ გამცეს-მეთქი. მაგრამ თანაც მეშინოდა, რომ შეეტყო, თავს მომჭრიდა. ორ ცეცხლ შუა ვიყავ ბედ-კრული, არ ვიცოდი, თუ რა მექნა.“

„მე და ჩემი მოღალატე ქმარი ერთხელ მარტოდ დავრჩით. ვესაყვარლე, ულაქტე, მერმე ავდეგ და უთხარი:“ გეტყვი რასმეს საიდუმლოს, თუ ფიცს მომცემ, არვის ეტყვი. ფიცი მომცა საშინელი, სიკვდილამდის არ გავამხელო. მეც გავებრიყვი და უამბე დაფარული ყველაფერი მერმე ავდექ, წაფუძელ წინ და ვუჩვენე იგი ქალი. ქმარმა მითხრა, ეგ არა ვაეს ხორციელსა, ჩამოსულა ანგელოზიო, ორივენი შევეხვეწეთ: გვითხარ, ვინ ხარ, ვისთვის კვდები-თქო? მაგრამ ქალმა ხმა არ გაგვცა, მხოლოდ ტირილს მოუმატა. შეგვებრალა, დავეხსენით და ცოტა ხილი შევაძლიეთ. არც ის სჭამა, არც ხმა გაგვცა, მეტისმეტად დაგვადონა. ქალის ჭერეტით რომ გავძებნით, ავდექით და გამოვედით. ამას შემდეგ ორივენი ხშირად ქალთან ერთად შევიდიოდით.“

„ერთხელ ქმარმა, იმ ღვთის მტერმა, მითხრა, წავალ, მეფეს ვნახავო. ტაბაკზე დააწყო თვლები და მარგალიტები. ვუთხარ ყელი არ გა-

მომკრა. მეფეს არა გაუმხილო რა-მეთქი. შემომფიცა, არას ვიტყვი, ეჭვი ნუ გაქვს ნურაფრისო. მეფე, თურმე, იმ დროს იჯდა ნადიმად და ქეიფობდა. უსენის მისელა იამა, ძღვენი იძღვნო, დაუმაღლა. გვერდს მოისევს, პატივი სცეს, დალიეს, დაალეინეს. მეფემ უთხრა: „უსენ, მიკვირს, სად შოულობ ძვირფასს თვლებსო“? ჩემმა ქმარმა მოახსენა: „რა ტომ გიკვირთ, ხელმწიფეო!—ყოველივე თქვენგანა მაქვს, რაც-კი რამე მბადაიაო“. ნაღინევი, თურმე, იყო, მილალატა, არ დამინდო. ადგა მეფეს მოახსენა: „ეგ რად გიკვირთ, ხელმწიფეო! მე ქალი მყავს თქვენ და სარძლოთ, არვინა ყავს ქვეყნად ტოლი. როცა ნახავთ, გაოცდებით და დამრჩებით მადლიერიაო.“ ხელმწიფესა გავხარდა, ყმებს უბრძანა: „მომგვარეთო.“

„მე შინ ვიჯექ არხეინად, რა ვიცოდი მილალატა. მეფის მონები მომადგენ, თაყვანი მცეს, გამიკვირდა. მერმე მითხრეს, ქალი მოგვე, ხელმწიფემა გამოგვზანაო. მე თავზე მეხი დამეცა, მონებს ვკითხე: „რა ქალი-თქო?“ მათ კვლავ მკადრეს: „უსეინმა მეფეს უძღვნა სასძლოდ ქალიო.“ რას ვიზამდი! შეველ ქალთან და შევხივლე, ასეა-მეთქი. ცრემლი აფრქვია, საბრალომ და ტირილით მიბასუხა: „კარგი რამ მჭირდეს, გიკვირდეს, ავი რა საკვირველიაო.“ მერმე ადგა ფერმიხდილი და მომთხოვა მოსაბური. შეველ საჭურჭლეს, ავიღე თვალ-მარგალიტი ძვირფასი, წელსარტყელში ჩაულაგე და ისე გავატანე. მოვეხევი, და გადავკოცნე, მერმე მონებს ჩავაბარე. სასახლეში რომ მივიდენ, მეფე ქალს წინ მოეგება. სილამაზემ გააკვირვა, მეტის-მეტად მოილხინა. გვერდს დაისევა, უაღერსა, საუბარი გაუმართა; მეფემ ჰკითხა: „ქალო, ვინ ხარ, ვისი შვილი, სად მოსულ ხარო“? ქალი, თურმე, მოწყენილი იჯდა, ხმას, არ იღებდა. ყოველი კაცი კვირობდა, სტუმარი და შინაური.

მეფის ვაჟი, მშვენიერი, შორს საომრად წასულიყო. მეფემ ბრძანა, როცა მოვა, მზის-უნახავს მას შეერთავო. ადგა მეფურად შემოსა, ლალის გვირგვინი დაადგა. ტახტი დაუდგეს საუფლის-წულო სადგომში. მეფემ ბრძანა, ცხრა ხაღუმი მუდამ იდგენ კარის მცველად.

გახარებული ხელმწიფე ნადიმობდა და ღზინობდა. უსენს წყალობა უბოძა, აავსო და გამდიდრა.“

„მზის-უნახავი კი ამ დროს იტანჯებოდა, ფიქრობდა: რა ექმნა, თავს როგორ უშველო, და გავიქცე აქედანო. იმედსა არ ჰკარგევდა და გონებასა იკრეფდა. ბოლოს მოიხმო მცველები და ამგვარად ემუდარა:“ თქვენი ხელმწიფე მცდარია, თუ ფიქრობს ჩემსა რძლობასო. მე დავიცემ დანას გულში, თავს მოვიკლავ უცილოდო. მაშინ მეფე განრისხდება და თავს მოგპრით სუყველასო. მაშ ის გიჯობთ, თქვენ წაიღოთ ყველაფერი, რაც კი რამ მაქვს. მე გამიშვათ, გამაპართ, ღმერთსა თქვენსა დაამადლოთ. თუმც არ იზამთ, რასაც გირჩევთ, დამერწმუნეთ ბევრს ინანებთო“.

ესა სთქვა და იმათ მისცა მარგალიტი, თან რომ ჰქონდა. გვირგვინიც მათ უბოძა და თავისი სამოსელი. მცველებს. შიში დაავიწყდათ, რაკი ნახეს მარგალიტნი. ერთმა მცველმა გაიხადა, მას ჩააცვა თავის კაბა. გაუშვეს და გააპარეს და თვითონაც გაღიხვეწენ. მე შინ ვიჯექ მოწყენილი, არ მიხსნიდა დანა კბილსა. ვიღამაც დაარაკუნა და „ფატმანო“, შემომძახა. ავდექ ჩქარა, მივეგებე და გავეკვირდი,—იგი იყო. მოვეხვიე, დავკოცნე, შევეხვეწე შემოდი-თქო. მაგრამ არ ქმნა, ცხენი მთხოვა, მდევარისა ემანოდა. გავექანე, გამოვკვარე, შეკაზმული ცხენი მივე. ტირილით გამოვეთხოვე, ცხენზე შეესვი, გავისტუმრე“.

რა გაიგეს, გაიქცაო, მთელი ქალაქი შეიძრა. გზები შეკრეს წასავალი და მდევარიც დაადვენეს.


ჩემთან მოვიდენ, იკითხეს, მე ფიცით უარი ეუთხარი. მთელი სახლი გამისინჯეს, არ სჯეროდათ ჩემი ფიცი. დაეძინეს, ვერა ნახეს, მერმე თავი დამანებეს. მეფე სწუხდა, წვერს იგლეჯდა, „ვინ გაუშვა“? იძახოდა.

„მე ქმარი მას აქეთ შემძულდა. ერთხელ ამ ამბავს გავუტყდი ჩაშნავირს, ყველაფერი მას უამბე. ამა ღამეს, შენ რომ გიხმე, მე ჩაშნავირს არ ველოდი. მაგრამ კაცი მომივიდა, „მოვლო“, შემო-

ეთვალა. მე შენთან კაცი ვაფრინე: „ნუ მოხვალმეთქი. შენც გწყენოდა, არ დაბრუნდი, წამოსული შემოხვედი. იგიც მოდგა, ერთად გენახა, სიკვდილსა დამექადა. არ მოგვეკლა, გამამხელდა უსათუოდ, რაც იცოდა. მაშინ მეფე აგვიკლებდა, დაგეზოცდა და დაგვექოლაედა. მაგრამ მიხსენ სიკვდილისგან, მაგიერი ღმერთმა გიზღოსო,“ უთხრა დასასრულ ფატმანმა აეთანდილს.


ვაჟი სულის განაბვით ისმენდა ამბავს. უნდოდა შეეტყო, რა მოუვიდა მერმე საბრალო ნესტან-დარერეჯანს, და ამიტომ ემუდარა ფატმანს, სულ მიანზე, რაც რამ იცი გაქცეული ქალისაო. ფატმანმაც აღუსრულა თხოვნა და განაგრძო.

გ. ისოსელიანი



თ ა ვ ი მ ე რ ე

გემები რეგორ იგნებენ ზღვაში გზას. ძოვანე.



ეორე დღეს მამას ბევრი საქმე გამოუჩნდა. ბავშვებმა მოამზადეს თუ არა გაკვეთილები, სთხოვეს დედას თაბახი, ჩაასხეს წყალი, იპოვეს კაკლის ნაჭუჭები, დაუკეთეს ანძა-იალქნები და დაიწყეს თამაშობა.

არა ერთხელ ჩაიძირა მათი გემი, მანამ არ ისწავლეს გემის დატვირთვა. ბოლოს გაიმართა სწორე მისეღა-მოსეღა ამერიკასა და ევროპას შუა, ატლანტიის ოკეანეში.

ტასო სცხოვრებდა ამერიკაში, მიეიდოდა, იქ დასკლიდენ, დაუდებდენ ახალ საპალნეს—პატარა კენჭებს, საფანტს და სხვ. და გამოაბრუნებდენ ზოღმე ევროპაში.

თაბახის ერთ პირზე დათამ აღნიშნა ნავთსადგური, და ტასოს ამ ნავთსადგურისკენ უნდა ემარჯუნა თავისი გემი, თუმცა ყოველთვის ვერ ახერხებდა ამას: იმისი გემი ხან მარცხნივ აუქცევედა ნავთსადგურს, ხან მარჯვნივ. დათა ჯავრობდა და აყვედრიდა დას, რომ რიგიანი არა ჰყვანდა „მატროსები“, რომელთაც რიგიანადა სცოდნოდა თავიანთი საქმე.

ტასომ მიუგო, რომ მგზავრი ზღვაში ხმელეთს ვერ ხედავს და ამისთვის არ იცის საით უმარჯვოს გემი, და მარტო ქარს უნდა მიენდოს.

დათა არა სთანხმდებოდა და ეუბნებოდა, რომ მგზავრმა, ზღვაში მავალმა, უნდა იცოდეს, საით მიდის; ამის ცოდნა კი ადვილი საქმეა: მზეს უყუროს და იმითი გაიგნოს გზა.

— რომ მზე არ სჩნდეს, ღრუბლიანი დღე იყოს, მაშინ რაღა ქნას მგზავრმა? ეუბნებოდა ტასო.

სალამოთი ბავშვებმა უამბეს მამას თავიანთი თამაშობა.

— გემი ხომ არ დაგელუპათ?—ჰკითხა მამამ.

— რა არის გემის დაღუპვა?—იკითხა ტასომ.

— გემი იღუპება მაშინ, როდესაც უცაბედად წააწყდება წყალში ამომართულ კლდეს და დაიმსხვრევა, ან კიდევ გაფუჭდება გემის ძირი, წყალი დაიწყებს დენას და აავესებს გემსა და დასძირავს.

— განა ზღვაშიც არის კლდეები?—იკითხა დათამ. ზღვაში კლდეებს რა უნდა?

— კლდეები არის იმ მთების, ან გორების მწვერვალები, რომლებიც ამართულია ზღვის ძირიდან, და რომლებიც წყალს ვერ ამოსცილებიან. ამისთანა მწვერვალები მოგზაურობისთვის შეუძენელია და, აი, ეს კიდეები არიან გემის დაღუპვის მიზეზნი. აი როცა ამისთანა დღე დაადგება გემს, მაშინ ამბობენ—დაიღუპაო. ამისთანავე დღე დაადგება ხოლმე გემს მაშინ, როცა ქარიშხალი ამოვარდება, გადააწვენს გემს ცალ მხარეს, აამსებს წყლითა და დასძირავს.

— როგორ უნდა იაროს მეგემემ—ჰკითხა დათამ,—როცა არც ხმელეთი სჩანს, არც მზე; ან კიდევ ღამეა?

— განა დაგავიწყდათ ის იარაღი, რომლის შემწეობითაც სულ ყოველთვის შეგვიძლიან გზის გაკვლევა დაბურულ ტყეშიაც და ბნელ ღამეშიაც და რომელიც ქვეყნიერობისას ორ მხარეს გვიჩვენებს. აბა, მოიგონეთ, რა იარაღი იყო?

— „კომპასი“—წამოიძახეს ბავშვებმა.

— ქვეყნიერობის რომელ მხარებს გვიჩვენებს „კომპასი“?

— სამხრეთსა და ჩრდილოეთს!—ერთ ხმედა სთქვეს ბავშვებმა.

— კომპასი ყველაზედ უსაჭიროესი და აუცილებელი იარაღია ზღვაში მოგზაურთათვის,—განაგრძო მამამ.—რუკა გვაჩვენებს მდე-

ბარებას იმ ქვეყნებისას, საითაც ვაპირებთ მისვლას, — „კომპასი“ კი მიგვიძღვის გვასწავლის იმ ქვეყნის გზას: ჩრდილოეთისკენ უნდა წავიდეთ, სამხრეთისკენ, დასავლეთისკენ, თუ აღმოსავლეთისკენ? და თუ კომპასი გვაქვს, თუნდა ბნელ ღამეშიაც გავიგნებთ გზას და არ შევცდებით.

— თუ როდისმე მომიხდა გემით წასვლა, კომპასს უეჭველად თან წავიღებ, — სთქვა დათამ.

— უსარგებლო იქნება შენთვის „კომპასი“. „კომპასი“ საჭიროა მხოლოდ მეგემსთვის, რომელიც გზას იკვლევს და რომელსაც ყოველთვის თვალ წინა აქვს ეს იარაღი.

მაშ ზღვაში სიარული უკომპასოთ შეუძლებელი ყოფილა, — სთქვა ტასომ.

— მანამ კომპასის ხმარება არ იცოდნენ, — გემით დადიოდნენ მხოლოდ ხმელეთის ნაპირ-ნაპირ და იშვიათათ ბედავდნენ ზღვის ერთი ნაპირიდან მეორე ნაპირს გადასვლას. მაშინ კი არა, ახლაც ბევრი ველური, გარეული ხალხია, რომელთაც კომპასის ხმარება სრულებით არ იციან, თუმცა ხშირად ბედავენ ნაპირიდან კაი მანქილზე წასვლას. იმათი კომპასი დღე — მზე და ღამე — ვარსკვლავები.

— მერე როგორ ახერხებენ მაგას? — დაეკითხა დათა, — ყველა ვარსკვლავები ზომ ერთმანეთსა გვანან და იმათი საგანია, უნდა იპოვონ სამარეთიდან ჩრდილოეთი?

— როგორც მზე, ისე მომეტებული ნაწილი ვარსკვლავებისა, უძრავათ არიან, არ დადიან; ამას გარდა, არც ერთნაირად ბრწყინავენ ყველა ვარსკვლავები: ზოგნი ბრწყვიალა ვარსკვლავია, ზოგი ციაგი. ვარსკვლავების მდებარეობით და ბჭყვრიალით ადვილად შეუძლიან კაცს მათი გარჩევა. როგორც მზე, ვარსკვლავიც ერთ მხარეს ამოდის, მეორეს — ჩადის. მაშასადამე თუ მზის შემწვობით შეუძლიან მეგემს ზღვაში გზის გაგნება, შეუძლიან აგრეთვე ვარსკვლავების წყალობითაც იაროს.

— მთვარეც უძრავადა დგას? — შეეკითხა ტასო.

— არა, მთვარე გარს უფლის დედა-მიწას და ორივენი ერთად მზეს, რომლის სინათლის წყალობითაც ანათებს მთვარე.

თქვენ უკვე იცით, რისგან და როგორც არის დედა-მიწაზედ დღე-ღამე. დედა-მიწის იმ ნახევარზედ, რომელიც მზისკენ არის შექცეული, დღეა; მეორე ნახევარზედ—ღამე. სწორედ ესევე ხდება მთვარეზედაც: მთვარის ის ნახევარი, რომელიც მზესა აქვს შექცეული, ანათებს, მეორე კი ამ დროს ჩრდილშია, და, მაშასადამე, ბნელია. როდესაც მთვარის სრული ნახევარია მზისკენ შექცეული და განათებული, ჩვენ იმას ვეძახით დასრულებულ მთვარეს, ანუ ბადრს. როდესაც ისეთ მდგომარეობას მიიღებს მთვარე, რომ სრულებით აღარ მოჩანს, ამას ვეძახით ახალ მთვარეს. მე ამას მაგალითით გაჩვენებთ და უფრო უკეთ გაიგებთ. დადექით ჩემს გარშემო. ეს ლამაზარი, რომელიც მარცხნივ გვიდგა, ესთქვათ მზეა, ჩვენ ვითამ დედა-მიწა ვართ, ბურთი კიდეც მთვარე. მე ახლა ისე დავიჭერ ბურთს, რომ ბურთსა და მზეს შუა მოვყვეთ; ისე კი დავიჭერ ბურთსა, რომ იმის ნახევარს ლამაზარის მზის სინათლე სცემდეს. როგორ მთვარეს წარმოადგენს ახლა ბურთი?

— გაბადრულ მთვარეს,—მიუგო დათამ.

— ახლა ისე დავიჭერ ბურთსა, რომ ბნელი მხარე ჩვენსკენ იყოს შემოქცეული, ნათელი—მზისკენ; მთვარის ამ მდგომარეობას რას ვეძახით?

— ახალ მთვარეს,—მიუგო დათამ. მაგრამ მე ბადრი მთვარე ისე მესმის, რომ მთლადა სჩანს მთვარე; ახალ მთვარეს რაღას ვეძახიან?

— ამასაც ეხლავ გაიგებთ,—მიუგო მამამ. ნუ თუ ეგრეა, როგორც შენ ამბობ: ხომ მთლადა სჩანს მთვარე, ხან სრულიად არა, ან თუ სჩანს, მხოლოდ მთვარის რომელიმე ნაწილი.

— ხან ნამგალსა ჰგავს ხოლმე,—მიუგო ტასომ.

— ან კიდეც წრის გულის ნახევარს, — დაუმატა დათამ.

— ეგ ეგრე გვეჩვენება; — მართალია, — მიუგო მამამ, — მაგრამ ნუ დაივიწყებთ, რომ წრის გულად გვეჩვენება, თუ წრის გულის ნახევრად, მთვარე მინც ბურთია. მარტო იმაშია განსხვავება, თუ რომელ განათებულ ნაწილსა მთვარისას ვხედავთ? თუ მთვარის ნახე-

ვარია განათებული, — ეხედავთ მთელ წრის გულს; თუ მთვარის მეოთხედი — წრის გულის ნახევარს და თუ მთვარის ნაპირია მარტო განათებული, მაშინ ნამგალს.

არ დაივიწყოთ, რომ მთვარე გარს უღლის დედა-მიწას, ორივე კი, ესე იგი, დედა-მიწა და მთვარე, მზეს. მთვარე დედა მიწის გარს შემოვლას უნდება ოთხს კვირას, ახლა გავსინჯოთ, როგორ იცვლება ხოლმე მთვარე ამ მოგზაურობის დროს. დაივიწყოთ იმ დროდგან, როდესაც მთვარის ბნელი მხარეა ჩვენსკენ შემოქცეული.

— ესე იგი, როცა ახალი მთვარეა? — უთხრა დათამ.

— სწორედ, აი, ისე მიჭირავს ბურთი, რომ იმისი ბნელი მხარე ჩვენსკენ არის შემოქცეული. ახლა ნელ-ნელა გავწვევ მთვარეს მარცხნივ.

— მთვარის ნაპირია ახლა განათებული, — წამოიძახა ტასომ.

— ეგ ნამგალია, არა? — იკითხა დათამ.

— დიახ. მერე რომელ ნაწილსლა დაეინახავთ მთვარისას? — დაეკითხა მამა ბავშვებს.

— მთვარის განათებული მხარე თანდათან იზრდება, დიდდება, — მიუგო დათამ: — ბურთზე ეტყობა ნამგალი მატულობს და წრის გულის ნახევრის ნახევარი გახდება.

— ამას ჰქვიან პირველი მეოთხედი, — სთქვა მამამ.

— პირველ მეოთხედს შემდეგ ბადრი მთვარე იქნება, არა, მამა? — ჰკითხა ტასომ:

— სწორედ; მერე რალა იქნება, აბა შენ მითხარ, დათა?

— მერე, — დაფიქრდა დათა, — მერე მთვარე იკლებს, მე მგონია.

— სწორედ ეგრე ხდება. მაშინ ამბობენ — მთვარემ იკლოვო, ანუ მთვარე კლებაში შევიდაო.

— მაშასადამე, ბადრ მთვარეს შემდეგ ისევ ისე დაიწყება, როგორც წინათ; ჯერ ნახევარ მთვარესლა დაეინახავთ. მერე — ნამგალს.

— ნამგალს ჰქვიან უკანასკნელი მეოთხედი, — უთხრა მამამ. — ამას შემდეგ რალა იქნება, დათა?

— შემდეგ ახალი მთვარე, ე. ი., მთვარის ბნელი მხარე იქნება ჩვენსკენ შემოქცეული.

— ეგ ეგრეა; მაგრამ არ შეგიძლიან მითხრა—მთვარის ამ მდგომარეობას რათ ეძახიან ახალ მთვარეს?

— მე მგონია იმისთვის, რომ მთვარე ჯერ სულ არა სჩანს, მერე გამოჩნდება ხოლმე. მაგრამ რათ ეძახიან, ახალ მთვარეს? მუდამ თვე ახალი მთვარე ხომ არ არის!?

— რასაკვირველია, არა,—მიუგო მამამ სიცილით,—იმ დროდგან დაწყებული, როგორც მთვარე იკლებს, მივა უკანასკნელ მეოთხედამდის და ხელმეორედ გამოჩნდება, ეძახიან მთვარის დაბადებას; თუმცა არც იბადება და არც იცვლება მთვარე და შეუცვლელია, როგორც, დედამიწა. ვახსოვდეთ, რომ ოთხი კვირის განმავლობაში მთვარე ოთხნაირად იცვლება და სხვა-და-სხვა სახელები ჰქვიათ ამ ცვლილებას: ახალი მთვარე, პირველი მეოთხედი, ბადრი მთვარე და უკანასკნელი მეოთხედი.

— ოთხი კვირაა და ოთხ-ნაირად იცვლება მთვარე; ეს ადგილი დასახსოვებელია,—სთქვა ტასომ.

— ერთსა და იმავე მხარეს ამოდის და ჩადის, მთვარე როგორც მზე, თუ სხვა-და-სხვა ადგილს სხვა-და-სხვა მხარეს?—იკითხა დათამ.

— ერთსა და იმევე მხარეს,—მიუგო მამამ,—სწორედ ისევე, როგორც მზე.

— მაშ მთვარე მზესავით აღმოსავლეთისკენ ამოდის და დასავლეთისკენ ჩადის?—გაიკვირა ტასომ.—მაშასადამე, მარტო მზის შემწეობით არ შეიძლება გზის გაკვლევა, მთვარეც კარგი გზის მაჩვენებელი ყოფილა.

— მართალია. მზის შემწეობითაც შეიძლება გზის პოვნა, მთვარისაც და ვარსკვლავისაც,—მიუგო მამამ.—სწორეთ, ასე იგნებენ ზღვაში გზას ის ხალხი, რომელთაც კომპასის ხმარება არ იციან. ზოგიერთა ზღვა ძალიან დიდია; ამას გარდა ხშირად ისე მოხდება ხოლმე, რომ მთელი კვირაობით ბურუსია—ზღვაში; თვალ წინ, არა ჰყავს რა და არა სჩანს არც მზე და მთვარე და არც ვარსკვლავები, ამისათვის გულადად უშიშრად ზღვაში სიარული შეუძლიან მხოლოდ იმას, ვისაც კომპასი აქვს და იმითი იკვლევს გზას.

— რომ უფრო უკეთ წარმოიდგინოთ მზისა, მთვარისა და დედამიწის მდგომარეობა, ყურადღება მიაქციე ამ რუკას.

მ.—ნიშნავს მთვარეს; დ.—დედამიწას, ა, ბ, გ, დ,—მთვარის სხვა-და სხვა ადგილას ყოფნას იმ დროს, როდესაც იგი დედამიწას გარს უფლის.

— მაშასადამე,—დაიწყო დათამ,—როცა მთვარე ა — შია, მაშინ იქნება ახალი მთვარე, როცა ბ — ში პირველი მეოთხედი, გ — ში ბადრი მთვარე, ანუ სავსე მთვარე, დ — ში უკანასკნელი მეოთხედი.

— ჭეშმარიტად. ამას მეორე სურათზე უფრო კარგათ დაინახეთ. აქ მეორე სურათია.

— ხოლო როგორ დადიოდნენ ზღვაში, მინამ გემის გაკეთება არ იცოდნენ? — იკითხა დათამ.

— მართალია გემი გვიან მოიგონეს,—მიუგო მამამ,—მაგრამ ზღვაში, ან წყალში კი კაცი დადის მას აქეთ, რაც იგი დედამიწაზედ სცხოვრობს. წყლის ახლო მცხოვრებმა კაცმა შეამცნია, რომ ხე წყალში ტივტივებს, და, მე მგონია, პირველად წყალში სასიარულოდ ტივი გააკეთა. ტივით დადიოდნენ და კიდევ გადიოდნენ მდინარეებში, ჯერ ახლაც, როცა გემის გაკეთება თითქმის ყველამ იცის, სამხრეთ ამერიკაში მცხოვრებმა; ველური ხალხი ტივსა ხმარობს და კარგა შორსაცა ბედავს ზღვაში სიარულს.

თქვენ მიხვდებით, რომ ტივით სიარული ძალიან ძნელი და წელია. მე მგონია, კაი ხანს მოუხდებოდა ადამიანი, მანამ ტივს ისე მოაწყობდა, რომ ადვილად შესძლებოდა მისი მიტრიალ-მოტრიალება. მართალია, არ ვიცი, პირველად, ვინ მოიგონა გამოფულრული ხის ნაფი, მაგრამ ცხადია, რომ პირველად გამოფულრული ხის ნაფი მოიგონა კაცმა. გამოფულრული ხის ნაფის ხმარება ახლაც ხშირია ინდოელებში.

— ვინ არიან ინდოელები? — იკითხა ტასომა, რომელიც აქამდის დიდის ყურადღებით ისმენდა მამის ნაამბობს.

— ინდოელებს ეძახიან ამერიკის მკვიდრ ველურ ხალხს: ინდოელების მომეტებული ნაწილი ტყეში სცხოვრებს, და მათ საქმელს ნადირის ხორცი და თევზი შეადგენს.

რაკი ნავის გაკეთება მოახერხა კაცმა, ახლა მის განკარგებას შეუდგა: გაადიდა, იგი უფრო დაამსუბუქა და ბოლოს იალქანიც გაუკეთა, რომ ქარის შემწეობით ეტარებინა ნავი, მერე მოიგონა იალქნიანი გემიც და ბოლოს ორთქლიც.

ლაპარაკში კარგა ხანი გასულიყო. ბავშვების ძილის დროც იყო. მამამ ადგომა დააპირა. დათა იმ ნაირად იჯდა, რომ იმისი თავის ჩრდილი მისდგომოდა ბურთს, რომელიც იმავე მაგიდაზედ იდო. დათამ ყურადღება მიაქცია ამას.

— მამა, უყურე, — მიუბრუნდა დათა, — ჩემი თავის ჩრდილს მთლად დაუფარავს ბურთი. მთვარეს კი არ დაჰფარავს ხოლმე დედამიწის ჩრდილი?

— როგორ არა. აბა იფიქრე, რა მოუფა მთვარეს, რომ დედამიწის ჩრდილი მიადგეს, გაბადრულს მთვარეს?

— დედამიწის ჩრდილი დაჰფარავს მთვარეს, დააბნელებს, — მიუგო ცოტა გაუბედავად დათამ.

— ძალიან კარგი? — მოუწონა მამამ: მთვარის მაგ მდგომარეობას ეძახიან — მთვარის დაბნელებას.

— მზის დაბნელებაც შეიძლება? — იკითხა ტასომ.

— შეიძლება. აბა, დათა, აგვიხსნი ამას.

დათა დაფიქრდა.

— მე მგონია, მაშინ დაბნელდება მზე, როცა მთვარე დედამიწასა და მზეს შუა იქნება, — სთქვა დათამ.

— ყოჩაღ, დათა! მომწონს! — უთხრა გახარებულმა მამამ, — ასეთი კმაყოფილი ვარ დღევანდელის თქვენის ყურადღებით, რომ პირობას გაძლევთ, შემდეგ უფრო ბევრს საყურადღებოს გაიამბობთ.

ახლა ყურადღება მიაქციეთ სურათს, რომელზედაც ძალიან ნათლად არის დახატული მზის და მთვარის დაბნელება. აბა, შენ მითხარ, ტასო: რომელი ნახატები გვიჩვენებენ მზის დაბნელებას?

— პირველი, მეორე დე მესამე მზის დაბნელებას გვიჩვენებენ; მეოთხე — მთვარისას, მიუგო ტასომ.

— სწორედ მართალი ხარ.

ერ. ბაქრაძე

(დასასრული შემდეგ №-ში)

ვისი ბრალია თუ ხარშოს გემო არ ექნება



კატარინე თუშცა ყოველ დღე მიდიოდა სამუშაოდ, მანც შვილებს არ მოაკლებდა თავის დროსედ სადილს; ისე გვიან არაოდეს არ დაბრუნდებოდა, რომ ცოტადენი წვენი მანც არ მიეძველებინა.

ერთხელ კატარინემ იცოდა, რომ მოუგვიანდებოდა და უთხრა უფროსს შვილს ჰეტრეს:

— შვილო, მე ვიცი, ვერ მოგისწრობთ სადილად, დაკრიფე ბაღში ცერცვი, მოთხარე კარტოფილი და სტაფილო, კარგა გარეცხე, გაფუჭე და აიდუღეთ წვენი. არ დაივიწყო, ცოტა მარილიც უყავი.

წავიდა კატარინე სამუშაოდ; ემაწვილმა ითმინა, ითმინა და ზატარა ხანს შეძლეკ შეუდგა სადილის მომზადებას. ხანამ ჰეტრე მასალას ამზადებდა და წვალს ადუღებდა, მისმა მომცრო ძმამ, სანდრომ, ასე იფიქრა:

— თუ კი კარტოფილი და სტაფილო წვენი კი გემოს მისცემს, თევზი უფრო კარგი არ იქნებაო? მოიტანა ექვსიოდე ზაწია თევზი, დილით რომ აუსში ეზოვა, და ქვამში ჩაყარა

ეს დაინახა შემდეგმა ძმამ, ვალიკომ, და იმანც ასე იფიქრა:

— თუ თევზი ვარგაო, ლოკოკინაც ივარგებსო. ბაღში რომ ბლომად არისო და მოდი მოვიტანოვო.

ვალიკო მაშინვე გაექანა ბაღში, მოაგროვა ლოკოკინები და ძმების ჩუმიად ჩაყარა ქვამში.

სტაფილოსთან და ცერცვთან ლოკოკინები და თევზები დომხალი გამოვიდოდა.

ამას კიდევ უნდა დაუმატოთ, რომ მათმა დამ, ელენემ, ზემოდ ქვამში მავალი და თხილი ჩაუშვა, რომელიც სა-



ხლის ღობესთან დაკრთობა, რადგან დიდი ხანია, მოწინდინე იყო თავისებურად ერთხელ მანც გაეკეთებინა სეჭმელი.

— დახე, ლიხიკო, რა გეპრიელი გამოვიდეს ჩვენი ხარშო, გაუხიარა ელენემ თავისი წადილი ზატარა დაიკოს.



ლიხიკო დაწმუნებულია, რომ ელენე ცუდად არ მოიქცეოდნ და ამიტომ თითონაც მოიწინდინა გააკეპრიელოს სადილი: აიღო თავისი ხის მამალი და ძროხა რომელიც მესობელმა ქალმა აჩუქა, და ჩუმად ჩაუშვა სათამაშოები ქვანში.

ემაწვილები მოუსხდენ სადილს.

ნეტა ვიცოდე, როგორი გეპრიელი იქნებოდა მათი სადილი?..



თ რ ი ძ ე ს ო ბ ე ლ ი

როი კაცი მეზობლად ცხოვრებდენ; ერთი იყო შრომის მოყვარე, მეორე საშინელი ზარმაცი. შრომის მოყვარე დღითი-დღე შენდებოდა, მდიდრდებოდა; ზარმაცი-კი სულ უკან-უკან მიდიოდა. ხალხმა ზარმაცს კილევა და ძრახვეა დაუწყო: რა დაგმართნია, შენ უბრალო^ს ქოხი ვერ შეიძინე, თავი შეაფარო და შენმა მეზობელმა კი, დახე, რა ღარბაზი წამოჭიმაო!

ზარმაცი შურმა აიტანა; გულში განიზრახა: ჩემს მეზობელს ფარულად სახლს დაეუნგრევე და ისიც ჩემსავით ლატაკი შეიქმნებაო. ადგა და როცა მეზობელს შინ არ დაიგულებდა, მივიდოდა მის სახლთან და დიდ სვეტს თვითო აგურის გამოცლა დაუწყო. მაგრამ, დახე უბედურებას: ერთხელ, ბოლო აგურს რომ აცლიდა, ნაბიჯის გადადგმაც ვერ მოასწრო, უცებ სვეტი გადიქცა, სახლმა იგრიალა და საბრალო ქვეშ მოიტანა.

ეს საცოდავი მე! ამე დღეს მიწას მიაბარეს და მის მეზობელმა კი წლის თავზედ უკეთესი სახლი წამოიდგა.





ანდასები:

1. შენი კარები გააღე და სხვისაც ღია დაგხედებო.
2. ყორანმა შაშვის ჯავრით შროშანი მოკლა,
შენც შავი ხარ და ისიცაო.
3. შიმშილმა ხმელა არ იცის და სიცივემ ძველა.
4. კოდალაე, შენ სულ ვგრე აკაკუნებო, მაგრამ შენი ხარა-
ტულები ვერა ვნახეო.

გამოცანები

(წარმოდგენილი თეოფ. ხუსკივაძისაგან.)

ერთი სტუმარი მეწვია, მის ღღეში მოუწვეველი,
შეჭამაღი მიუტანე, სუფრაზე დაუდებელი.

ატნი ტომარა, მატნი ტომარა,
სახელს ქვე გეტყვი, გვარს მიტომ არა.

დახე ჩემსა რიხინასა,
მკედარი ცოცხალს იჭირავსა.

ერთი რამე სულიერი საყდარს უკან გალობდაო,
შავი ჩოხა შეეკერა, კოჭებს არ უმაღაედაო.

სალსუღილექსი

(წარმოდგენილი თეოფ. ხუსკივაძისაგან.)

ზღაპარიყო, ზღაპარიყო, ჭალას ჩიტი ჩამკედარიყო,
დიდს ქვებშია არ ეტია, პატარაში არ კმარიყო.
ასი სული გამოეძღე, ერთი ლუკმაც არსად იყო.

წიფლის ჯირკი გამოვსჭერი, გამოვთაღე ნაეთაო.
ვგონებ თავი შევაწყინეთ, დაგრჩით უკაცრავათაო.

ანდაზები, გამოცანები და რებუსი

ს ა ხ უ მ ა რ ო ა მ ბ ა ვ ი

(წარმოდგენილი ი. ფირალოვის მიერ)

ერთს კაცს სტუმარი ეწვია. მასპინძელს არ იამა მისი წვევა და საბან ქვეშ დაიმალა, მხოლოდ ფეხები უჩანდა. სტუმარმა მასპინძლის პაწია ვაჟს ჰკითხა: სად წავიდა მამაშენიო? — ქალაქში გიანლაო — უპასუხა მან. სტუმარმა უთხრა: მეორედ რომ წავიდეს, ფეხები თან წაიღოსო.

ა კ რ ო ს ტ ი ს ი

(წარმოდგენილი მ. ლ.)

შაშვივით გულში ჩაგვემღეროს, გვართობს თვის მოძმე შვილებსა. ორგულს გვაშორებს თავიდან, ბოროტსა აგვაცილებსა. თავს მოაძულებს ბოროტსა და გულსა მოუტრბილებსა, არ მოგვშორდება უკვდავი. თვით საფლავს ძიგვაცილებსა.

ს ა მ ა თ ე მ ა თ ი კ ო გ ა მ ო ც ა ნ ა

(წარმოდგენილი თეოფ. კანდელაკისაგან)

ერთმა კაცმა გამოიყვანა ცხენი გასასყიდათ. მყიდველს ისე მოეწონა ეს ცხენი, რომ რამდენიც უნდა ეთხოვა პატრონს, მყიდველი მისცემდა. ცხენის პატრონმა მოსთხოვა ნალის პირველ ლუსმანში ერთი კაპიკი, მეორე ლუსმანში ერთი ორად მეტი. როგორ დაუჯდებოდა ის ცხენი მყიდველს, თუ თითო ნალს ექვს ექვსი ლუსმანი ჰქონდა დაკრული ოთხივე ფეხზე?


შ ა რ ა დ ა

(წარმოდგენილი კორტოხასაგან)

სიტყვის პირველი მარცვალი
სიტყვაა შემოკლებული;
ქართლელთა ქალთა საუბრის
თვისებად დასახებული.
სხვები შეადგენს ერთ სიტყვას,
ორ საგნის გამომხატველსა:

ერთი კი წასასმელია,
მეორე ჭუჭყათ ადევსა.
მთელი აღნიშნავს იმ ალაგს,
სად ხელოვნება ტრიალებს,
სად ჭკუა, სწავლით მოსილი,
საერთო საქმეს განაგებს.

რ ე ბ უ ს ი



№ III-ის გამოცანების ახსნა.


1—ციცინათელა, 2—თევზი, 3—სასწორი, 4—თოვლი.

ზმა: ივერია, იმერეთი, გურია, რაჭა.

ეპიტეზისი: თუ საქონლის ხასიათი არ იცი, კუღზედ ხელს ნუ ახლებ.

სამათემატიკო გამოცანები: 1) მუშა კაცია—6. მიეცა 18 მ. მუშა ქალია 9. მიეცა 4 მ. 50 კ. ყმაწვილია 10. მიეცა 2 მ. 50 კ.; სულ შესდგება 25 მ.

2) მჭედელმა ასე გასჭრა რკინის ნაჭკერი



შარადა: გაზეთი. რებუსი: ბალი გემრიელია, თუ არ შემოგველია.

გამოცანები ახსნილი იყო თბილისში კ. დიასამიძისაგან და გორში თ. ფურცელაძისაგან. ზმა, სამათემატიკო გამოცანა, შარადა რებუსი და ეპიტეზისი გამოიღწო თბილისის სასულიერო სასწავლებლის IV კლასის მოწაფემ გაბრიელ ბარნაბიშვილმა.

—ჭკრუდქორ-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთლისა. ჭკ—

საქმანწვილო სურათებიანი ჟურნალი

ჯეჯილი

წელიწადი მესამე

გამოვა 1892 წელსაც ორ თვეში ერთხელ იმავე პროგრამით, როგორათაც აქამდის.

„ჯეჯილში“ დაიბეჭდება: მოთხრობანი, ლექსები, ზღაპრები, მოგზაურობის და შესანიშნავ-კაცთა ცხოვრების აღწერა, პოემები, მოკლე ამბები, სამეცნიერო წერილები, საბავშვო სათამაშონი და სავარჯიშონი, სამათემატიკო გამოცანები, იგავეები, ანდაზები, გამოცანები, ნარევი, რებუსები და სიმღერები ნოტებით.

ჟურნალში მონაწილეობის მიღება აღკვეთილს ყველა ჩვენმა საუკეთესო მწერლებმა.

ჟურნალი „ჯეჯილი“ ტფილისში დატარებით ღირს—3 მან.-ტფილისს გარეშე გაგზავნით 4 მან.

ცალკე ნომრის ფასი ტფილისში არის 70 კაპ., ხოლო სხვა ქალაქებში—ქუთაისს, ბათუმს და გორში,—75 კაპ.

ხელის მოწერა შეიძლება მხოლოდ წლით და ნახევარ წლით.

ხელის მოწერა მიიღება:

1) ტფილისში—„წერა-კითხვის საზოგადოების“ კანცელარიაში (Дворцовая ул., д. Зем. Банка, № 102), „ქართველთა ამხანაგობის“ წიგნის მაღაზიაში და თვით „ჯეჯილის“ რედაქციაში (Красногорская ул., д. № 7 Назарова).

2) ქუთაისში—მკ. ნიკოლაძისას.

3) გორში—მკ. შურცელაძისას.

4) ბათუმში—მ. ნიკოლაძის სააგენტოში.

5) სანჯურში—ყარამან ჩხეიძისას.

ზოსტის აღრესი: *Въ Тифлисъ, въ редакцію грузинскаго дѣтскаго журнала „Джеджили“.*

რედაქტორი-გამომცემელი ან. თუმანიშვილი-წერეთელისა.

